ყოველი ბოროტია, „ეროსი“ ერთი

ეროსი

ფასი 50 თეთრი

№21 (916) 7 - 9 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

გვ. 5

მართვის მოწმობის შეცვლა მოქმედების ვადის გასვლამდე სავალდებულო არ არის, ახალი მოწმობის აღება-შეცვლის შემთხვევაში, ღირებულება უცვლელი რჩება

უგულავასა და სააკაშვილის პარტიული კლანების დაპირისპირება

გვ. 2

რატომ დაიბარა ღელა კიღაძე სააკაშვილმა კიევში და რატომ იჩხუბეს უგულავამ და ვაშაძემ

რევაზ არველაძე: „ჰესების მშენებლობაზე მემორანდუმების გაფორმებამდე, პროფესიონალთა საბჭოს გადაწყვეტილებაა საჭირო“

არის თუ არა ქვეყანაში დიდი ჰესების მშენებლობის ბუმი და რა უნდა გაითვალისწინოს ენერგეტიკის სამინისტრომ ინვესტორებთან ურთიერთობისას

გვ. 8

„ჩვენ ვზრდით პროფესიონალებს!“

124

რით განსხვავდება „გორგასალი“ სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან

ვაჟა ჩოხელი

„ვცდილობ, სანამ ნდობის მანდატი მაქვს, დუშეთის რაიონის განვითარებისთვის მაქსიმალურად დავიხარჯო!“

რა სამუშაოები ტარდება რაიონის 280 სოფელში და როგორ გეგმავს უმუშევრობასთან გამკლავებას დუშეთის გამგებელი

გვ. 6

„კეზერაშვილი, ს ვეშჩამი!“

გვ. 3

რამდენი მილიონი დაუჯდა ნაცმოძრაობას კეზერას თავისუფლება და რა კავშირი აქვს თავდაცვის ექსმინისტრის საქმესთან ეკა ზღუდაძესა და მის მეუღლეს, რაფაელ გლუკსმანს

რა დაფინანსებას მიიღებენ პოლიტიკური პარტიები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე

უგულავასა და სააკაშვილის პარტიული კლანების დაპირისპირება

რატომ დაიბარა ღეღა კიდაძე სააკაშვილმა კიევში და რატომ იჩხუბეს უგულავამ და ვაშაძემ

ანი დადიანი

ნაციონალურ სალხინეთში დიდი აურზაურია. როგორც მოსალოდნელი იყო, გიგი უგულავასა და მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ამბიციები თბილისის მერობის კანდიდატის შერჩევისას კიდევ ერთხელ დაეჯახა ერთმანეთს და, ამბობენ, პარტიაც თითქმის ორად გაიყო. მაინც რა ხდება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კულუარებში, რომელიც უკვე აღარც ერთიანია და აღარც იმის იმედი აქვს, რომ თბილისის მერის პოსტს შეინარჩუნებს, რატომ დასჭირდათ პრაიმერის გამოცხადება და დასახელებული კანდიდატებიდან, რომელს უჭერს მხარს მიხეილ სააკაშვილი?

გიგი უგულავა რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კენჭს ვეღარ იყრიდა, ეს თავიდანვე ნათელი იყო. ნაციონალურმა მოძრაობამ პოლიტიკოსი უგულავას მიმართ საკუთარი დამოკიდებულება ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ გამოხატა — მართალია, გიგი კეკლუცობდა, მე არჩეული მერი ვარ და ჩემს ქალაქს ვერ შეველევიო, სინამდვილეში ძალიანაც უნდოდა, საკუთარ პარტიას სააკაშვილი-მერაბიშვილის შემდეგ ერთპიროვნულ ლიდერად ეღიარებინა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვის ფონზე, უთხრეს, რომ არათუ პრეზიდენტის, თბილისის მერის პოსტსაც უნდა გამოემშვიდობოს და გადაყენებული, მაგრამ მაინც „მეურნე მერის“ იმიჯს დასჯერდეს. მაშინ ბედს შეეგუა, თუმცა დროებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ნაციონალების მიერ გამოცხადებული პრაიმერი სწორედ იმის დასტურია, რომ ნაცები ერთიან კანდიდატზე ვერ შეთანხმდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, გიგი უგულავა მერის არჩევნებში კენჭისყრას არ აპირებს და ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბს უხელმძღვანელებს, პარტიის მერობის კანდიდატს კი პრაიმერი გამოავლენს. პრაიმერში ორი კანდიდატი – გიორგი ვაშაძე და ნიკა მელია არიან დარეგისტრირებული. მართალია, უგულავამ განაცხადა, რომ ორივეს ენდობა და მზად არის, მათთან ერთად იბრძოლოს გამარჯვებისთვის, მაგრამ პარტიის კულუარებში ღიად საუბრობენ, რომ გიგი უგულავა ნიკა მელიას უჭერს მხარს. თუ მელიას ბეგრაუნდს გავიხსენებთ, ვერ ვიტყვით, რომ ეს ნაციონალების მხრიდან გონივრული გადაწყვეტილებაა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მას მხარს უჭერს გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, ირმა ნადირაშვილი, გივი თარგამაძე, ლევან თარხნიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ზურაბ მელიქიშვილი, ვანო მერაბიშვილი და პავლე კუბლაშვილი, რომლებიც პარტიაში არჩევნების „დამრტყმელ“ ძალად მოიაზრება და, როგორც ჩანს, უგულავას სწორედ ამის იმედი აქვს.

„ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ორიოდე კვირის წინ, უკრაინის კრიზისამდე რამდენიმე დღით ადრე, ნაცმოძრაობის რამდენიმე ლიდერი აშშ-ში მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. მიუხედავად გიორგი ვაშაძის დიდი სურვილისა, იგი მათ შორის ვერ მოხვდა, რამაც ძალიან გაანაწყენა. ზოგადად, ვაშაძის მიმართ პარტიაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა და, შეიძლება ითქვას, შიშითაც განიხილავენ მის კანდიდატურას, რადგან მასში მიხეილ სააკაშვილის კლონს ხედავენ. ვერ გეტყვით, თავად მიხეილ სააკაშვილი რამდენად ეთანხმება ამ მოსაზრებას, მაგრამ, როგორც ამბობენ, თბილისის მერის პოსტზე გიორგი ვაშაძის კანდიდატურის წამოყენება სწორედ მისი ინიციატივა იყო. მას მხარი დაუჭირეს დავით საყვარელიძემ, აკაკი ბობოხიძემ, გია თევდორაძემ, დავით კირკიტაძემ, გიორგი კარბელაშვილმა და გიორგი ღვინიაშვილმა. რა თქმა უნდა, მისი კანდიდატურა მოიწონა დევნილობაში მყოფმა ზურაბ ადეიშვილმაც, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის იუსტიციის სახლების პროექტის ავტორის კარიერულ წინსვლაში. პრაიმერში გამარჯვების ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ისიც იქცეს, რომ გიორგი ვაშაძეს ბაჩო ახალაიას დაჯგუფებაც ენდობა, მათ შორის ნუგზარ წიკლაური, აკო მინაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი და დავით დარჩიაშვილი, თუმცა, როგორც ჩანს, სწორედ მერის კანდიდატურა გახდება სააკაშვილი-უგულავას დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი. ეს რომ ასეა, თამარ ჩერგოლეიშვილის სტატუსიც ადასტურებს, სადაც ღიად გამოხატავს სააკაშვილისადმი საკუთარ უკმაყოფილებას. იგი „ეკონომისტში“ მიხეილ სააკაშვილის სტატიას ეხმაურება და სტატიის იმ ნაწილზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც სააკაშვილის პოზიციების ევროპაში გაძლიერებაზეა საუბარი: **„ამ სტატიის მთავარი აქცენტი ისაა, თუ რატომაა კონტრპროდუქტიული საქართველოსთვის ქართული ოცნების მიერ პოლიტიკური ოპონენტების, უფრო კონკრეტულად, ნაციონალური მოძრაობის დევნა. რატომაა პრობლემატური ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვები, რომ ნაციონალურ მოძრაობას ოპონენტებად არ აღიქვამს. მიხეილ სააკაშვილისთვის, როგორც ჩანს, ამ სტატიაში მთავარი არა მისი პარტიის წევრების დევნის რამდენიმეაბზაციანი კრიტიკა, არამედ ერთი წინადადებაა იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილის საერთაშორისო პოზიციები ძლიერდება. მე არ მომწონს ეს“.** რა თქმა უნდა, თამარ ჩერგოლეიშვილს, გიგა ბოკერიასა და შესაბამისად უგულავას დაჯგუფებას, ნამდვილად არ მოსწონს, არ აწყობს და აშინებს კიდეც მიხეილ სააკაშვილის საერთაშორისო პოზიციების გაძლიერება, ამიტომაც უგულავას ხელით ცდილობენ, მას ზურგი გამოაცალონ და პარტიაში მისი პოზიციები შეასუსტონ. ამიტომაც იქცა მათი შეტევის ობიექტად გიორგი ვაშაძე. ამ ვერსიის გასამყარებლად ნაციონალებთან დაახლოებული წყარო ორიოდე დღის წინ მომხდარ ფაქტს გვიამბობს: როდესაც სააკაშვილს კიევში უთხრეს არჩევნებში უგულავას განზრახვის შესახებ, მან ლელა კილაძე — გიგი უგულავას მეუღლე — შეხვედრაზე დაიბარა. ოფიციალური მოტივი პიარში მიხმარება იყო, ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე, თუმცა ეს პარტიაში სასაცილოდ არ ეყოთ. კილაძე-სააკაშვილის მეგობრობა ძველი ამბავია, მაგრამ, როგორც ამბობენ, ლელა საკმაოდ ჭკვიანი ქალია და გიგიზე უაღრესად დიდი გავლენა აქვს, როგორც ჩანს, მიშას სწორედ ამის იმედი ჰქონდა და მისი ხელით აპირებდა სიტუაციის დალაგებას. ამბობენ, რომ ლელა მართლაც აპირებდა კიევში ჩასვლას, მაგრამ გიგიმ აეროპორტიდან დააბრუნა, რასაც მიშას განრისხება და გინება მოჰყვაო. საპასუხოდ გიგიმ პოლიტსაბჭოს სხდომაზე, სადაც მიშა კიევიდან სკაიპით ჩაერთო, სააკაშვილს „ხურდა“ დაუბრუნა და შეკრება ურთიერთლანძღვაში გადაიზარდა. „ვერსიის“ წყარო გვიამბობს, რომ უგულავამ ამ შეკრებაზე ღრიალით შეახსენა ვაშაძეს, თუ რა პრობლემები შეექმნა მის ცოლს საბაჟოზე, რაც პრესაში დაიბეჭდა კიდეც და ამის შემდეგ ვაშაძემ უგულავასკენ დასარტყმელად გაიწია.

პოლიტიკა ბინძური საქმეა (ასე დააკანონეს თავად ნაციონალებმა) და საზოგადოებას დიდად არ ადარდებს, ვინ რა კომპრომატებს დაუდებს თანაგუნდელის ცოლს, მაგრამ აქ მთავარია, ვის ექნება ქართულ პოლიტიკაში დარჩენის შანსი, ვინ განსაზღვრავს ჯერ კიდევ ფინანსურად საკმაოდ ძლიერი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკას. თორემ გულუბრყვილობა იქნება ან ბოკერიას, ან უგულავას და ანდა სააკაშვილს სჯეროდეს, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხალხი მათ რომელიმე კანდიდატს დაუჭერს მხარს და თბილისი მერი კვლავ ნაციონალი გახდება.

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ივა ჩიღვინაძე იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დააკავეს

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ივა ჩიღვინაძე 6 მარტს დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

შსს-ს ინფორმაციით, ივა ჩიღვინაძე დაკავებულია იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით. მას იარაღი ჰქონდა გაფორმებული, თუმცა ტარების უფლება არ აქვს.

ივა ჩიღვინაძე, რომელიც დემოკრატიული მოძრაობის წევრი იყო, 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ, ვაკეში, ჩეხეთის საელჩოსთან რამდენიმე პირთან ერთად დააკავეს. მას ბრალად პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა წაუყენეს, რის გამოც სასჯელს გლდანის 8 დაწესებულებაში იხდიდა.

ივა ჩიღვინაძემ საპატიმრო 2012 წელს, ამნისტიის შედეგად დატოვა.

„ინტერპრესნიუსი“

ალექსანდრე ჭიკაიძე: მოქალაქეებისადმი უკანონო მიყურადება არ ხდება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის მტკიცებით, მოქალაქეებისადმი უკანონო მიყურადება არ ხდება. როგორც ჭიკაიძემ სახალხო დამცველის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, მოქალაქეების უფლებები არ იზღუდება:

„მინდა, დაგარწმუნოთ, რომ უკანონოდ არაფერი ხდება. საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე ამას ყოველდღიურ ცხოვრებაში გრძნობს. არ იზღუდება მათი უფლებები. პირიქით, შინაგან საქმეთა სამინისტრო არის ადამიანის უფლებათა, მათი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დამცველი და ეს საფუძველი ნამდვილად არ გააჩნიათ. როცა რეალური საფუძვლები იყო, რატომღაც მაშინ დუმდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც დღეს ამის შესახებ აქტიურად საუბრობს“.

ამასთან, შს მინისტრის განმარტებით, ფარულ მოსმენასთან დაკავშირებული საკითხის დასარეგულირებლად კონსულტაციები მიმდინარეობს.

„შევჯერდებით იმ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც მისაღები იქნება ჩვენთვისაც და საქართველოს მოქალაქეებისთვისაც“, — აღნიშნა მინისტრმა.

სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ხელისუფლებას ნამდვილად აქვს ბერკეტი, რომ ათასობით ადამიანს ფარულად მოუსმინოს, თუმცა ეს რამდენად გამოიყენება პრაქტიკაში, ამის თაობაზე ინფორმაცია არ აქვს. როგორც ნანუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ზოგადად ეს საკითხი დასარეგულირებელია:

„ეს არის თემა, სადაც მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრის გათვალისწინება იმ ფონზე, როდესაც წლების განმავლობაში ხდებოდა მოქალაქეების მოსმენა. მნიშვნელოვანია, გარკვეული მექანიზმის შექმნა, რომელიც დაარეგულირებს და შესაძლებელს გახდის, მონიტორინგი და კონტროლი განხორციელდეს და საზოგადოების ჩართულობა მოხდეს“.

გარდა ამისა, დღესვე არასამთავრობოთა ჯგუფმა დაიწყო კამპანია — **„ეს შენ გეხება! ისევ გვისმენენ!“**

„ინტერპრესნიუსი“

„კეზერაშვილი, ს ვეშჩამი!“

რამდენი მილიონი დაუჯდა ნაცმოძრაობას კეზერას თავისუფლება და რა კავშირი აქვს თავდაცვის ექსმინისტრის საქმესთან ეკა ზღუდაძესა და მის მეუღლეს, რაფაელ გლუკსმანს

ანი დადიანი

ვინც საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრის, დავით კეზერაშვილის სახეგაბრწყინებული კადრები იხილა, ალბათ, გაახსენდებოდა ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ პერსონაჟი მოშიაშვილი, რომელსაც ციხის ბადრაგი სანატრელ სიტყვებს დაუძახებს — „მოშიაშვილი, ს ვეშჩამი“ და ისიც თვალებგაბრწყინებული ტოვებს საკანს. ალბათ, ამ გადაწყვეტილებას კეზერაშვილიც ისეთივე პათოსით ელოდა, როგორც ის მოშიაშვილი, რომელიც თანამოსაკნეებს მუდმივად უმტკიცებდა — აი, ნახავთ, სულ მალე გარეთ გამაგდებენ, რადგან აქ რომ ვზივარ, ჩემი „პადდელნიკების“ შავ-ბნელ საქმეებზე ერთი სიტყვაც კი არ დამცდენია, ჰოდა, ისინიც ჩემს წონა ფულს დახარჯავენ, საკუთარი თავი რომ გადაირჩინონ და „სვაბოდაზე“ გამიყვანონო...

სწორედ ამ მექანიზმმა იმუშავა დავით კეზერაშვილის სასარგებლოდ, რადგან ნაციონალური ხელისუფლების ელიტამ კარგად იცოდა, რომ კეზერას „ალაპარაკება“, მისი საქართველოში ექსტრადიცია, შესაძლებელია, საკმაოდ ძვირი დასჯდომოდა. ჰოდა, არც თავი დაზოგეს, არც ფული და საქმეც გაიჩარხა. ვინც საერთაშორისო საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს თვალს ადევნებს, დამეთანხმება, რომ მითია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შექმნილი იმიჯი, თითქოს დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში კორუფცია არ არსებობს. ჰოდა, ფული თუ ჯოჯოხეთს ანათებს, გავრცელებული ინფორმაციით, კეზერას თავისუფლების სანაცვლოდ, ნაციონალების ჯიბიდან დახარჯული 50 მილიონი დოლარი საფრანგეთის ცას რატომ ვერ გაანათებდა?!

ფაქტია, დავით კეზერაშვილი ვარდების რევოლუციის შემდეგ, ჯერ კიდევ ფინანსური პოლიციის უფროსის პოსტზე ყოფნისას იქცა ნაციონალური ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად. კეზერაშვილებს არც ისე აკლდათ ფული, საკუთარი ბიზნესიც ჰქონდათ და პარტიაშიც, თავის დროზე, საკმაოდ დიდი ფინანსები შეჰქონდათ, მაგრამ ფინანსური პოლიცია სწორედ ის ბერკეტი იყო, რომელმაც დავით კეზერაშვილი ნაციონალების „კასირად“ აქცია. თუმცა გულუბრყვილობაა ვთქვათ, რომ დატერორებული ბიზნესიდან ამოღებული მილიონები თუ შუაღამისას „ნაჩუქარი წილები“ და ქონება მხოლოდ კეზერას ჯიბეში მიდიოდა. ეს რომ ასე არ იყო, მაშინაც დადასტურდა, როცა დავით კეზერაშვილი თავდაცვის მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგ, დამოუკიდებელ ბიზნესმენად მოგვევლინა და სხვადასხვა კომპანიიდან საკმაოდ დიდი წილების საკუთარ კომპანიაში გადაქაჩვა დაიწყო. კეზერაშვილის საქმენი საგმირონი ერთი დიდი გამოძიების თემაა, დაწყებული ვარდების რევოლუციამდელი პერიოდიდან, დამთავრებული თავდაცვის მინისტრობისდროინდელი სკანდალებით, იარაღით ვაჭრობის ფაქტებითა და ა.შ., მაგრამ ამ ყველაფრის რეზიუმე მხოლოდ ერთია — ნაციონალური მოძრაობის „ვერხუშკას“ კეზერას ციხეში ყოფნა ისევე არ აწყობდა, როგორც მოშიაშვილის „პადდელნიკებს“ მისი ალაპარაკება... ამიტომაც გაუშვეს ჯერ ბიზნესში, როგორც კი ხელისუფლებაში ყოფნის ვადა ამოწურვისკენ წავიდა, შემდეგ დიდი ხნით ისრაელში, რადგან ისრაელის მოქალაქეა. საფრანგეთში, ქართული მხარის მოთხოვნით, მისი დაპატიმრება და შემდეგ სასამართლო პროცესი სააკაშვილსა და მის გარემოცვას ნამდვილ თავსატეხად ექცა. ალბათ, ყველას ახსოვს სააკაშვილი-უგულავა-ბოკერიას მაშინდელი პარიზული ვოიაჟები, თუმცა რა მექანიზმმა იმუშავა და როგორ დაიბლოკა დავით კეზერაშვილის ექსტრადიციის გადაწყვეტილება საფრანგეთის სასამართლოში, ამ კითხვაზე ალბათ „ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაცია უპასუხებს.

როცა ქართულმა მხარემ კეზერაშვილის ექსტრადიცია მოითხოვა, საქმეში მაშინვე ჩაერთო საფრანგეთის ელჩი საქართველოში რენო სალენსი, რომელმაც, როგორც ამბობენ, განსაკუთრებული როლი ითამაშა იმაში, რომ თავდაცვის ექსმინისტრის საქართველოში ექსტრადიცია არ მომხდარიყო. მასთან ერთად, ამ საკითხზე საფრანგეთსა და ისრაელში აქტიურად მუშაობდა მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ეკა ზღულაძის მეუღლე რაფაელ გლუკსმანი, რომელმაც იზრუნა, რომ გამოქვეყნებულიყო სტატიები საფრანგეთში და დაექირავებინა ლობისტური ჯგუფები კეზერაშვილის გამოსაშვებად. საბოლოოდ, ნაცმოძრაობის ყულაბიდან მის გასათავისუფლებლად 50 მილიონი დოლარი დაიხარჯა. აქვს თუ არა ეს ინფორმაცია მთავარ პროკურატურას და დაიწყებს თუ არა გამოძიებას ამ საკითხზე, ჯერ უცნობია, თუმცა ამ შემთხვევაში, ყველაზე საინტერესო ეკა ზღულაძისა და მისი მეუღლის რაფაელ გლუკსმანის ფაქტორია.

ეკა ზღულაძემ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ბაჩო ახალაია შეცვალა 2012 წლის 20 სექტემბერს, თუმცა 2006 წლიდან შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა. 8 წლის განმავლობაში სწორედ ის გახლდათ მიხეილ სააკაშვილის საყრდენი შსს-ში, ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელი და საკმაოდ კრიტიკულ სიტუაციებში ხელისუფლების პოზიციის გამომხატველი. ამის მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდიც კმარა. მისი მეუღლე — რაფაელ გლუკსმანი საქართველოს უშიშროების საბჭოს კონსულტანტი და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი გახლდათ. სწორედ გლუკსმანი ეწეოდა ხელისუფლების პოლიტიკის პოპულარიზებას საერთაშორისო მასშტაბით – აქვეყნებდა სტატიებს გავლენიან უცხოურ გამოცემებში, ხვდებოდა უცხოელ ჟურნალისტებს. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ რაფაელ გლუკსმანმა ურჩია ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელს გიორგი არველაძეს, არხი „უფრო პროვოკაციული“ გამხდარიყო, რის შემდეგაც საზოგადოებამ „მოდელირებული ქრონიკა“ იხილა. ამ ფაქტს ადასტურებს The Huffington post-ის ჟურნალისტი საიმონ შუსტერი, რომელიც საქართველოში „მოდელირებული ქრონიკის“ გაშვებიდან მალევე ჩამოვიდა და შეხვდა მიხეილ სააკაშვილსა და რაფაელ გლუკსმანს: **„თბილისის ცენტრში, კაფეში „პურ-პური“, სააკაშვილის უახლოესმა მრჩეველმა საგარეო საქმეებსა და მედიის დარგში რაფაელ გლუკსმანმა ვითარების რამდენადმე უფრო სრული სურათი დამიხატა. მან მითხრა, რომ გადაცემამდე არცთუ ისე დიდი ხნით ადრე, „იმედის“ მაუწყებლობაზე ტელეკომპანიის დირექტორთან იმსჯელა. გლუკსმანს უთქვამს, რომ ისინი „უფრო პროვოკაციულები და უფრო სექსუალურები უნდა იყვნენ ამერიკული ტელევიზიებივით,მაგრამ, რა თქმა უნდა, არ მიგულისხმია, რომ ეს უნდა გაეკეთებინა“.**

მოკლედ, სწორედ ეკა ზღულაძე და „ოცდაათს გადაცილებული მოხდენილი ფრანგი“, ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის ვაჟი, რაფაელ გლუკსმანი აამუშავეს სააკაშვილმა და ბოკერიამ დავით კეზერაშვილისა და საკუთარი თავის გადასარჩენად, თუმცა რით უპასუხებს ამ პოლიტიკურ სვლას საქართველოს მთავარი პროკურატურა, მომავალში ვიხილავთ.

ქვეყანაშია ფერები ლურჯი ანუ გვეშველება რამე?

გიორგი იაშვილი

ბოლო დროს საქართველოში საინტერესო ტენდენციები შეინიშნება. ის „ურა-პატრიოტიზმი“, რომელსაც ასე ჭარბად ვაფრქვევთ სოციალურ ქსელებსა თუ პირად საუბრებში, სადღაც ქრება და იკარგება მაშინ, როცა ვინმე ისეთ რამეს იტყვის, რაც გულში ბევრს აქვს, მაგრამ საჯაროდ ამის თქმას ერიდება, აქაოდა, ცუდად გამიგებენო. ვიხედებით ევროპისკენ, მაგრამ ამავდროულად, რიგ საკითხებში აშკარა აზიელებად ვრჩებით, თუმცა ხმამაღლა ამის თქმას ვერიდებით და, თუ ვინმე რამეს იტყვის, ისე ჩავქოლავთ, ნერვიც არ აგვითამაშდება.

უცნაურ ტენდენციებზე მოგახსენებდით და რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ახალი ფორმები წარუდგინეს საზოგადოებას, სადაც ცისფერია აქტუალური. ახლა იმის თქმა კი არ მინდა, რომ ამ ფორმებითა და ცისფერი ფერით რაიმეს მიგვანიშნებენ ან გვაჩვევენ, ბოლოს და ბოლოს, ვინმეს შეუძლია მარტივად თქვას, ევროკავშირის დროშა ლურჯია და სილურჯე შემოვიდა ჩვენში და არა ცისფერიო, მაგრამ...

ზოგადად, ქართულ სიმბოლიკაზე წითელი და თეთრი ფერი იყო ხოლმე აქტუალური, რაც მძიმე, სისხლით გატანილ წარსულსა და ნათელ მომავალზე მიგვანიშნებდა და ახლა ისაა საინტერესო, ეს ლურჯი თუ ცისფერი, წარსულის ფერად უნდა მივიჩნიოთ თუ მომავლის?! სხვათა შორის, წინა ხელისუფლების ლიდერი მიხეილ სააკაშვილი არ მალავდა და პირდაპირ აცხადებდა, ქართველი ერის ფსიქოლოგია უნდა შევცვალოო და მთელი ცხრა წლის განმავლობაში ტვინის გამორეცხვის პროცედურებს ისე აქტიურად გვიტარებდა, თქვენი მოწონებული. თითქოს ეს ტვინის რეცხვის ტენდენცია შესუსტდა, მაგრამ ევროპელი თუ ამერიკელი მეგობრები არცთუ იშვიათად გვახსენებენ იმას, რომ ევროპისკენ დიდი ნაბიჯებით სიარულში კომპლექსები შეგვიშლის ხელს და ამიტომ, ყველანაირი კომპლექსი უნდა მოვიშოროთ ან ისე საგულდაგულოდ შევინახოთ, რომ სააშკარაოზე არ ჩანდეს.

ხატია ბუნიათიშვილისა და ლიკა ლაბაძის მკერდის სოცქსელებში განხილვის თემის მასშტაბს თუ ვინმე და რამე დაუდგებოდა წინ, არ მეგონა, მაგრამ მსახიობმა თინა მახარაძემ თქვა, ჩემთვის ორალური სექსი მიღებულიაო და... ვიღას ახსოვს უკრაინა და ყირიმი, განხილვის მთავარი თემა სწორედ ის არის, უნდა თქვას თუ არა ადამიანმა საკუთარი სექსუალური მისწრაფებების შესახებ საჯაროდ. როგორც სოცქსელების მომხმარებელთა უმრავლესობა აცხადებს, ამის თქმა საჯაროდ არ შეიძლება, მაგრამ მეორეს მხრივ, როცა გოგო-ბიჭები (დაწესებული ჯარიმების მიუხედავად) ქუჩაში ერთმანეთს უმოწყალოდ კოცნიან, თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა.

17 მაისამდე თვეზე ოდნავ მეტი დარჩა და, სავარაუდოდ, ევროკავშირის უმაღლესი კომისრის, შტეფან ფულეს ვიზიტი და პატრიარქთან შეხვედრა არ უნდა იყოს შემთხვევითი. აკი შეხვედრამდე ფულემ თქვა, მე დავარწმუნებ პატრიარქს, რომ საქართველოს ევროპისკენ სვლა აუცილებელიაო. რადგან ფულემ ეს თქვა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვიღაცამ მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული პიროვნება ევროპისკენ ქართველთა მისწრაფებას არ მიესალმება. უწმინდესმა მშვიდად განაცხადა, მე ამაში დარწმუნება არ მჭირდება, ვიცი, ევროპისკენ სვლა აუცილებელია, მაგრამ ჩვენი ტრადიციებითო. ანუ, ერთმა და მეორე მხარემაც ზუსტად იცოდა, რაზე საუბრობდნენ, მაგრამ ხმამაღლა ეს თემა არც ერთმა განავრცო.

მთავარი პრობლემა ის კი არ არის, ვის რა და სად უყვარს, არამედ ის, რომ ეს საჯარო განხილვის თემა ხდება. არა მგონია, უახლოეს ან არცთუ უახლოეს წარსულში არ ჰქონოდათ ამდაგვარი ფიქრები და სურვილი, მაგრამ ხმამაღლა არავინ საუბრობდა და ვინ რითი კავდებოდა, აფიშირებას არ აკეთებდა. იყო ფრაზა, საბჭოთა კავშირში სექსი არ არსებობს და მთელი საქართველო 37 მანეთის შეგროვებით იყო დაკავებული, რადგან არარსებულის მისაღებად წასულიყო დიდ რუსეთში. ახლა რუსეთში წასვლა გაძვირდა, მაგრამ სამაგიეროდ გავიგე, რომ სექსი თურმე საქართველოშიც არსებობს და ამის შესახებ საუბარს არსად ვერიდებით. შედეგად ვიღებთ იმას, რაც უნდა მივიღოთ — ვითომ მსოფლიო პრობლემებზე მოსაუბრე ერისგან საბოლოოდ სექსუალურ წვრილმანებზე მოყაყანე მასა რჩება.

P.S. ჩემს ბავშვობაში ანეკდოტი იყო ასეთი. ქუთაისელი ეუბნება მეგობარს: „გაიგე ჩვენი მეზობელი ცისფერი ყოფილაო და ის კიდევ პასუხობს, ცისფერი ელტონ ჯონია, თორემ აგი პიდარასტია, სიმონ“... მეც ასე მგონია... ცისფერი ელტონ ჯონია, თორემ...

რა დაფინანსებას მიიღებენ პოლიტიკური პარტიები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პარტიების დაფინანსების რა ცვლილებას იხილავს საქართველოს პარლამენტი

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, ცენტრალური საარჩევნო კომისია 54 500 000 ლარით ფინანსდება, აქედან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას 6 770 200 ლარი, არჩევნების ჩატარების ღონისძიებებს 28 000 000 ლარი, საარჩევნო ინსტიტუციის განვითარებისა და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობას 650 000 ლარი მოხმარდება. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტში 19 079 800 ლარია გათვალისწინებული. „ვერსია" დაინტერესდა, რა ფინანსური საშუალებებით ხვდებიან 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებს პოლიტიკური პარტიები, რომელთაგან უმრავლესობა არაკვალიფიციური სუბიექტია ანდა რა დაფინანსებას მიიღებენ კვალიფიციური სუბიექტები?

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო სექტორი 19 079 800 ლარით ფინანსდება, მათ შორის პოლიტიკური პარტიებისთვის 8 271 000, არასამთავრობო სექტორის განვითარებისთვის 4 135 500, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსებისთვის 5 473 300, ხოლო სარჩევნო სუბიექტების სატელევიზო რეკლამების ხარჯისთვის 1 200 000 ლარია გამოყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება დეტალურად გაწერილი პროგრამული ბიუჯეტით ამაყობს, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ამაზე კონკრეტული ინფორმაცია არ არსებობს. მაგალითად, ცესკო-სთვის გამოყოფილი 54 500 000 ლარი უნდა მოხმარდეს, როგორც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, სპეციალურ სწავლება-ტრენინგებს, საარჩევნო მასალების ბეჭდვას, ასევე თანამშრომელთა დაზღვევასა და სატრანსპორტო ხარჯსაც. მართალია, დეტალები უცნობია, მაგრამ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების თვალსაზრისით, უფრო რთულადაა საქმე. თუ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაიხედავთ, მხოლოდ ერთ ციფრს ნახავთ — 8 271 000 ლარს, რაც სახელმწიფომ კვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტების დასაფინანსებლად გამოყო. საინტერესოა, რა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სახელმწიფო ქვეყანაში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას, რას ნიშნავს პარტიების დაფინანსების სპეციალური ფორმულა, რომელიც ცესკო-მ შეიმუშავა და რა კრიტერიუმებისგან შედგება? — „ვერსიას" „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა კაციტაძე** ესაუბრება:

— კვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტებისთვის, რომლებმაც გარკვეული პროცენტული ბარიერი გადალახეს საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, შექმნილია კონკრეტული ფორმულა. მაგალითად, თუ საპარლამენტო არჩევნების დროს, პარტიამ 4%-იანი ბარიერი გადალახა, ბაზურ დაფინანსებას მიიღებს. 8%-მდე ბაზური დაფინანსება, წელიწადში 60 000 ლარია, 8%-ზე ზევით — 600 000, ოღონდ ეს კანონი 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ამოქმედდება. აქამდე ბაზური დაფინანსება 8%-მდე 150 000 ლარს, ხოლო 8%-ზე ზევით — 300 000 ლარს შეადგენდა. ბაზური დაფინანსების გარდა, პოლიტიკური პარტია არჩევნებში მიღებულ ხმებზე მიბმულ დაფინანსებას იღებს. 1 ხმა 200 000-მდე ხმის შემთხვევაში 2 ლარით, ხოლო 200 000 ხმაზე ზევით 2 ლარს პლუს 1.50 ლარით ფინანსდება. საპარლამენტო არჩევნებზე დაფინანსების მესამე მდგენელი, თითოეულ დეპუტატზე მიბმული თანხაა, რაც წელიწადში 500-600 ლარია, პარტიის დაფინანსების მეოთხე კომპონენტი ფრაქციაზე მიბმული თანხაა ანუ პარტია, რომელსაც ფრაქცია აქვს პარლამენტში, წელიწადში დამატებით 200 000 ლარს იღებს. საბოლოოდ, ეს ყველაფერი იკრიბება და კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ერიცხება. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ამ შემთხვევაში, ორი მდგენელი მოქმედებს — ბაზური და ხმებზე მიბმული დაფინანსება. დეპუტატსა და ფრაქციაზე მიბმული დაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე არ მოქმედებს.

— ბატონო მამუკა, რამდენი კვალიფიციური და არაკვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტი მიიღებს მონაწილეობას 2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე?

— დღეს 14 კვალიფიციური სუბიექტია, რომლებმაც კვალიფიციურობა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებსა და 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღეს. მთლიანობაში, 7 საპარლამენტო პარტიაა, მათ შორის, ქართული ოცნების 6 პოლიტიკური სუბიექტი და პლუს ნაციონალური მოძრაობა. 14 კვალიფიციურ პოლიტიკურ სუბიექტს შორის, 7 არასაპარლამენტო პარტიაა, მათ შორის, ახალი მემარჯვენეები, ქრისტიან-დემოკრატები, სახალხო ქრისტიან-დემოკრატები, ევროპელი დემოკრატები, საქართველოს გზა, სამართლიანი საქართველო (ნოღაიდელის ყოფილი პარტია, რომელსაც ახლა სერგო ჯავახაძე ხელმძღვანელობს) და ხალხის პარტია. 7-მა საპარლამენტო პარტიამ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მიიღო კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი, ხოლო 7-მა არასაპარლამენტო პარტიამ — 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.

— პოლიტიკური პარტიებისთვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შემოწირულობის გაღება შეეძლებათ?

— ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობა ისევ ძალაშია. პოლიტიკური პარტია ფიზიკური პირისგან წელიწადში მაქსიმუმ 60 000 ლარს, ხოლო იურიდიული პირისგან 120 000 ლარს მიიღებს.

— ინტერფრაქციულმა ჯგუფმა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი თუ განიხილა?

— დიახ, უკვე განიხილეს. პარტიების დაფინანსების კიდევ ერთი კომპონენტი ყოველწლიურ დაფინანსებას არ ეხება, მაგრამ ეს არჩევნების შემდეგ, იმ პარტიების კომპენსაციაა, რომლებმაც კონკრეტული შედეგი დადო. მაგალითად, თუ საპარლამენტო არჩევნებში, პარტია 5%-იან ბარიერს გადალახავს, კონკრეტული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, 1 000 000 ლარამდე კომპენსაციას მიიღებს, თუ საპრეზიდენტო არჩევნებზე 10%-იან ბარიერს გადალახავს, ამ შემთხვევაშიც კომპენსაცია 1 000 000 ლარამდე განისაზღვრება. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ეს კომპენსაცია 500 000 ლარი იქნება, რომელიც საქართველოს პარლამენტში სწორედ ახლა განიხილება და პირველი მოსმენით ეს ცვლილება უკვე მიღებულია. სხვათა შორის, მილიონიან კომპენსაციასთან დაკავშირებით, ერთგვარი პასკვილური დამოკიდებულებაც კი იყო, რადგან ახალ მემარჯვენეებს გვაბრალებდნენ, თითქოს ნაციონალურ მოძრაობას შევუთანხმდით და მილიონი ავიღეთ. სინამდვილეში, კონკრეტული შედეგების მიხედვით, „ქართულმა" ოცნებამ და ნაციონალურმა მოძრაობამ მილიონიანი კომპენსაცია უკვე ორჯერ აიღო. ახალ მემარჯვენეებს კი მილიონიანი კომპენსაცია არ აგვიღია, რადგან შესაბამისი ბარიერი ვერ გადავლახეთ.

მიიღო თუ არა პუტინმა დასავლური გარანტიები საქართველოს ფრონტზე

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

კიევიდან იანუკოვიჩის გაგდების შემდეგ, უკრაინასა და რუსეთს შორის ურთიერთობა უკიდურესობამდე დაიძაბა. ყირიმის ნახევარკუნძული მოსკოვის მიერ, ფაქტობრივად, ოკუპირებულია და გამოუცხადებელი ომის ცხელი ფაზის დადგომას, წინ არაფერი უდგას. აშშ და ევროპა პუტინს გონიერებისკენ მოუწოდებენ, საქართველოს მომავლისთვისაც გადამწყვეტი პროცესები მიმდინარეობს.

ექსპერტ მამუკა არეშიძის განცხადებით, უკრაინაში გამოუცხადებელი ომი მიმდინარეობს და დამარცხდება ის, ვინც პირველი გაისვრის. რუსეთის საქციელი ამ რეპრესიების ფონზე კი უცნაური და სასაცილოა: **„რუსეთს სულაც არ რცხვენია იმისა, რასაც აკეთებს. ერთი მხრივ, პრაქტიკულად, რუსეთის ჯარის მიერ ოკუპირებულია უკრაინის სახელმწიფოს ერთი ნაწილი, მეორე მხრივ, რუსეთი ცოცხალი თავით არ აღიარებს, რომ დამატებითი კონტინგენტი შეიყვანა იმ სამხედრო ნაწილების გარდა, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებით, სევასტოპოლის ბაზაზე იმყოფებოდა. მან იცის, რომ უსამართლოდ მოქმედებს, მაგრამ არ უნდა, დამატებით კიდევ ახალი ოკუპანტის სტატუსი მიიღოს".**

რუსეთმა გარკვეული იურიდიული საბუთი შექმნა, ერთი მხრივ, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოწვევით და მეორე მხრივ, იანუკოვიჩის თხოვნით, რომ რუსეთმა შეიყვანოს ჯარები ყირიმში და ჩრდილო-აღმოსავლეთ უკრაინაში. მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ საერთო ჯამში უკრაინის ძალები ბევრად სუსტია, ვიდრე ეს შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს, ამიტომ აუცილებელია საქართველომ უკრაინას მორალური მხარდაჭერა გამოუცხადოს, თუმცა განსაკუთრებული აქტიურობა საჭირო არაა, რადგან დასავლეთი და რუსეთი, ორივე დაინტერესებულია უკრაინაში სიტუაცია აკონტროლოს: **„როგორც საქართველო იყო გამოყენებული თავის დროზე, ისევე ცდილობს ორივე მხარე, გამოიყენოს უკრაინა, მაგრამ საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინის შემთხვევაში დასავლეთი, ჩემი აზრით, უფრო ადეკვატური იქნება".**

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამბობს, რომ რთულია, უპასუხო კითხვას, დააჩქარებს თუ არა უკრაინის მოვლენები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. ძალიან მნიშვნელოვანია პუტინისა და გერმანიის კანცლერ მერკელის სატელეფონო საუბარი: **„ამან შეიძლება დააჩქაროს და პირიქით, საერთოდ დაბლოკოს ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი. გააჩნია, სატელეფონო საუბარში რაზე შეთანხმდნენ პუტინი და მერკელი. ამ საუბრის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტი, ცოტა არ იყოს, თვინიერი გახდა. მისი თქმით, ყირიმის მიერთება არ უგულისხმია და უკრაინაში დამატებით ჯარსაც არ შეიყვანს. ეტყობა, პუტინმა დასავლეთისგან გარკვეული გარანტიები და კომპენსაცია მიიღო, მაგრამ საკითხავია, კონკრეტულად, რა დაპირებების მიიღება შეეძლო? ლოგიკური ვარაუდით, ერთ-ერთ მთავარი, რასაც მოითხოვდა, ეს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ბლოკირებაა. რეალურად, პროცესები ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ძნელია ყველაფრის ზუსტად განსაზღვრა".**

ცინცაძის თქმით, საბოლოოდ, თუ აშშ-მ თავისი გაიტანა, სამომავლო სურათი ჩვენთვისაც ბევრად სახარბიელო იქნება: **„ხომ ხედავთ, სანქციებთან შეერთებაში ინგლისი უკვე ჭრაჭუნობს, გერმანია, პრაქტიკულად, განუდგა ვაშინგტონს ამ საკითხში. თუ ამერიკამ თავისი გაიტანა და მოკავშირეები დაარწმუნა, რომ ახლა სწორედ ის მომენტია, როდესაც უნდა გაბედონ და რუსეთის პოზიციის წინააღმდეგ წავიდნენ, რასაკვირველია, ეს საქართველოს დასავლური ინტეგრაციის პროცესს დააჩქარებს. არ არის გამორიცხული, რაიმე გარიგება შედგეს, მათ შორის ასეთიც — პუტინი ჯარს აღარ შეიყვანს უკრაინაში, უფრო ლოიალური იქნება ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისადმი, მაგრამ საქართველოს ფრონტზე გარკვეული გარანტიები მიიღოს. ამის გამორიცხვა არ შეიძლება".**

რაც შეეხება ერთგვარ პროგნოზს უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე, პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ არსებული რეალობიდან გამომდინარე, მოლაპარაკებები მაინც გაგრძელდება: **„ამ ვითარებაში დიდი ომი არავის აწყობს და აქცენტი ინტერესთა ზომიერ დაკმაყოფილებაზე გაკეთდება. რუსეთს მოლაპარაკებებში იანუკოვიჩის ჩართვა სურს და ამის სამართლებრივი უფლებაც აქვს – ძალაშია 21 თებერვლის ხელშეკრულება, მათ შორის იანუკოვიჩის ხელმოწერით, რომელიც არავის გაუუქმებია. რუსეთმა ძალიანაც რომ მოინდომოს, იანუკოვიჩი რეალურად უკრაინის მეთაური აღარ არის, ამიტომ აქ ცოტა რთული სიტუაციაა, თუმცა რაღაც საშუალო გამოსავალი მოიძებნება".**

ოთარ დანელია: „მაქსიმალურად ვცდილობთ, რეფორმები ავტომობილების მფლობელებისთვის უმტკივნეულოდ განვახორციელოთ!“

მართვის მოწმობის შეცვლა მოქმედების ვადის გასვლამდე სავალდებულო არ არის, ახალი მოწმობის აღება-შეცვლის შემთხვევაში, ღირებულება უცვლელი რჩება

ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო 2014 წლის შემოდგომიდან სატრანსპორტო საშუალებებზე, ევროსტანდარტების მიხედვით, სანომრე ნიშნების ფორმისა და დიზაინის შეცვლას გეგმავს. როგორც სამინისტროში განმარტავენ, ძველი სანომრე ნიშნების ახლით შეცვლა სავალდებულო არ გახდება, რადგან ყველა ძველ სანომრე ნიშანს მოქმედების ვადა 2030 წლამდე ექნება. მომსახურების სააგენტო კიდევ ერთ სიახლეს გვთავაზობს: 2014 წლის 1 მარტიდან მართვის მოწმობების გაცემაც განსაზღვრული ვადით იგეგმება. კერძოდ, იმ პირების მართვის მოწმობის მოქმედების ვადა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ „A“, „B“, „BE“, „T“, „S“, „A1“ და „B1“ კატეგორიები, 15 წლით განისაზღვრა, ხოლო ვისაც მინიჭებული აქვს „C“, „CE“, „D“, „DE“, „C1“, „C1E“, „D1“ და „D1E“ კატეგორიები, მართვის მოწმობას 5 წლით მიიღებს. აღნიშნულ ცვლილებებზე „ვერსიას“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორი ᲝᲗᲐᲠ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ ესაუბრა.

— ბატონო ოთარ, ვადიან მართვის მოწმობებთან დაკავშირებით მომსახურების სააგენტოს მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ საზოგადოებაში ერთგვარი ვნებათაღელვა გამოიწვია. განმარტეთ, ვის შეეხება ცვლილება და მოუწევთ თუ არა მძღოლებს გამოცდების ხელახლა ჩაბარება?

— ხელახლა გამოცდების ჩაბარება არავის მოუწევს. ცვლილებების მიხედვით, 2006 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 1 მარტამდე საქართველოში გაცემულ „A“, „B“, „BE“, „T“, „S“, „A1“ და „B1“ კატეგორიების მართვის მოწმობებს მოქმედების იურიდიული ძალა 2028 წლის 1 სექტემბრამდე შეუნარჩუნდება. 2006 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის პირველ მარტამდე საქართველოში გაცემული „C“, „CE“, „D“, „DE“, „C1“, „C1E“, „D1“ და „D1E“ კატეგორიების მართვის მოწმობების ვადა კი, 2018 წლის 1 სექტემბრამდე განისაზღვრა. რაც შეეხება 2006 წლის პირველ აპრილამდე საქართველოში გაცემულ მართვის მოწმობებს, მათ მოქმედების ვადა 2018 წლის 1 იანვრამდე ექნება. ვადის ამოწურვის შემდგე კი, მართვის მოწმობის შეცვლა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩაბარების გარეშე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარმოდგენის საფუძველზე მოხდება.

— ჯანმრთელობის ცნობის გარდა, მართვის მოწმობის შესაცვლელად, სხვა დოკუმენტაციები საჭირო არ არის?

— არა, როგორც გითხარით, ამისთვის მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის მოტანაა აუცილებელი. თანაც მართვის მოწმობის შეცვლა მისი მოქმედების ვადის გასვლამდე სავალდებულო არ არის, ხოლო ახალი მოწმობის აღებისა თუ შეცვლის შემთხვევაში, დღეს არსებული ღირებულება უცვლელი დარჩება. ეს ცვლილებები ევროპულ სტანდარტს შეესაბამება.

— მომსახურების სააგენტო 2014 წლის შემოდგომიდან სანომრე ნიშნების ფორმისა და დიზაინის შეცვლასაც გეგმავს. არც ეს ინიციატივა იმოქმედებს უარყოფითად ავტომობილების მფლობელების ბიუჯეტზე?

— დიახ, ცვლილებების თანახმად, დღეს არსებული ნომრების ფორმატი შეიცვლება და მოხმარებაში ახალი დიზაინის სანომრე ნიშნები შემოვა, რომელიც ევროპული სტანდარტების შესაბამისი იქნება.

> **რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, ძველი დიზაინის სანომრე ნიშნებით სარგებლობა მომხმარებელს სატრანსპორტო საშუალების ახალ რეგისტრაციამდე შეეძლება, უკვე არსებულის შეცვლა კი სავალდებულო არ არის. ანუ თუ ავტომობილის მფლობელს სურვილი გაუჩნდება, უკვე არსებული სანომრე ნიშანი ახლით შეცვალოს, ის მხოლოდ დაბეჭდვის ფულს გადაიხდის, რაც ჯამში 35 ლარს შეადგენს. რაც შეეხება იმ პირებს, ვისაც ფასიანი სანომრე ნიშნები აქვს, მათ მომსახურების სააგენტო იდენტური საფასურის მქონე, მათთვის სასურველი სანომრე ნიშნით შეცვლას სთავაზობს. მერწმუნეთ, ჩვენი მიზანი არ არის ცვლილებები მოქალაქეების ბიუჯეტზე უარყოფითად აისახოს. პირიქით, მაქსიმალურად ვცდილობთ, რეფორმები ავტომობილების მფლობელებისთვის უმტკივნეულოდ განვახორციელოთ.**

სწორედ ამიტომაც ინფორმაციას რამდენიმე თვით ადრე ვავრცელებთ — გვინდა, მოქალაქეები შემოდგომისთვის ინიციატივებისთვის მზად იყვნენ. სხვათა შორის, ახალ სანომრე ნიშნებზე სპეციალური ადგილიც გათვალისწინებულია, სადაც ტექდათვალიერების გავლის ნიშანიც აისახება.

— და თუ მოქალაქეები ძველ სანომრე ნიშნებს არ შეცვლიან, არსებულ სანომრე ნიშნებზე ტექდათვალიერების აღნიშვნას როგორ გეგმავთ?

— ავტომობილის მფლობელებს ეს პუნქტი სანომრე ნიშნების შეცვლას არ აიძულებს, რადგან ძველ სანომრე ნიშნებზეც შეგვიძლია ტექდათვალიერების გავლის მაჩვენებლის დამატება. სხვათა შორის, განახლებული დიზაინის სანომრე ნიშნების დამზადება-შესყიდვის მიზნით, საერთაშორისო ტენდერი უკვე გამოვაცხადეთ, რომელშიც მონაწილეობა როგორც ქართულ, ისე უცხოურ კომპანიებს შეეძლებათ. რაც შეეხება დიზაინს, ახალი სანომრე ნიშნის მარცხენა ზედა კუთხეში საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხოლო მარჯვენა ქვედა კუთხეში ქვეყნის საიდენტიფიკაციო კოდი (GE) იქნება გამოსახული. შეიცვლება ციფრებისა და ლათინური სიმბოლოების წყობაც: მარჯვნივ და მარცხნივ განთავსებულ წყვილ ლათინურ სიმბოლოებს შორის სამი ციფრი განლაგდება. დაცულობის მიზნით კი, ახალ სანომრე ნიშნებს ფალსიფიცირების საწინააღმდეგო ჰოლოგრამა, სახელმწიფო გერბის გამოსახულებით ექნება.

> **ასევე ვგეგმავთ ევროსტანდარდების შესაბამისი სხვა დამცავი მექანიზმების გამოყენებას. საქართველოს ავტოპარკის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილებისთვის მომხმარებელს საშუალება ექნება, აიღოს და ავტომობილზე განათავსოს შესაბამისი ზომის კვადრატული სანომრე ნიშნებიც. ცვლილებები შეეხება მისაბმელ სატრანსპორტო საშუალებებსაც. სანომრე ნიშნების ამოწურვის მიზეზით, ნომერში ერთი სიმბოლო დაემატება და მათი დიზაინიც შეიცვლება.**



შსს-მ ავჭალაში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა 1979 წელს დაბადებული, წარსულში ოთხჯერ ნასამართლევი არსენ ლ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, ავჭალის დასახლებაში, საკუთარ ბინაში, მეზობელს – 1958 წელს დაბადებულ ლიანა ბ-ს დანით მრავლობითი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

ზესტაფონში 35 წლის კაცმა მეგობარს ლოდი ჩაარტყა და მოკლა

35 წლის მამაკაცი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მეგობარმა მოკლა, რომელიც შსს-მ ცხელ კვალზე დააკავა. როგორც „პირველის“ ადგილობრივ კორესპონდენტს თვითმხილველებმა განუცხადეს, გარდაცვლილს მკვლელობაში ბრალდებულმა თავში ლოდი ჩაარტყა. შსს-ს ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლითაა აღძრული.

„პია“

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე საჯარო რეესტრის თანამშრომელი დააკავეს

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი ნოდარ გოგოლაძე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა აიყვანეს.

„საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ნოდარ გოგოლაძემ, როდესაც ის მუშაობდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არქივირების სექტორის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე და ასევე ასრულებდა რეგისტრატორის მოვალეობას, 2011-2013 წლებში, გაყალბებული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, გამორჩენის მიღების მიზნით, მოქალაქეებს — მიხეილ ხუციშვილს, ანა შერმადინსა და გიორგი ხუციშვილს საკუთრებაში დაურეგისტრირა დუშეთის რაიონში მდებარე ვითომდა მიწის რეფორმით მიღებული, საერთო ჯამში, 5 124 კვ.მ. ფართობის მქონე, 121 100 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და უძრავი ქონება. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, ნოდარ გოგოლაძის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, სახელმწიფოს მიადგა მნიშნელოვანი მატერიალური ზიანი“, — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით მიმდინარეობს.

„პია“

ვაჟა ჩოხელი: „ვცდილობ, სანამ ნდობის მანდატი მაქვს, დუშეთის რაიონის განვითარებისთვის მაქსიმალურად დავიხარჯო!“

რა სამუშაოები ტარდება რაიონის 280 სოფელში და როგორ გეგმავს უმუშევრობასთან გამკლავებას დუშეთის გამგებელი

ეკრუსუდან შელია
557-100-768

2013 წლის მარტიდან, როგორც კი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გახდა, პირველივე გადაწყვეტილებით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის გამგეობის შენობა გახსნა და ყოველი პარასკევი მოქალაქეთა მიღების დღედ გამოაცხადა. არადა, წინა ხელისუფლება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 5 ათასი ლარის დახარჯვას, გამგეობის შესასვლელში გამშვები პუნქტის ჩადგმასა და შენობაში შესასვლელად სპეციალური საშვების დაწესებას გეგმავდა. რა სამუშაოები ჩატარდება 2014 წელს დუშეთის რაიონში და როგორ გეგმავს ერთ-ერთ მთავარ პრობლემასთან, უმუშევრობასთან, გამკლავებას, „ვერსიას“ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი ესაუბრა.

— დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლად 2013 წლის მარტში ამირჩიეს. ბუნებრივია, მაშინვე დავინტერესდი, რა მდგომარეობაში იყო რაიონი და რა გააკეთა წინა ხელისუფლებამ მისი განვითარებისთვის. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი მხოლოდ ფასადურად კეთდებოდა და გამგეობა, პოტიომკინის ქალაქების მსგავსად, ფიარზე გათვლილ სამუშაოებს ახორციელებდა. დუშეთის მუნიციპილატეტში 280 სოფელი ერთიანდება, რომელთაგან უმრავლესობას გზის, წყლისა და ნაპირსამაგრების პრობლემა აქვს. ქალაქშიც მდინარე დუშეთის ხევი ჩამოდის, რომელიც 2005 წელს ისე ადიდდა, რომ წყალმა ორი ადამიანი იმსხვერპლა: როცა წყალი დიდდება, ხევისპირზე მაცხოვრებლები სახლიდან გარბიან. შესაბამისად, ამ პრობლემის გადასაჭრელად ზომები სასწრაფოდ მივიღეთ. კერძოდ, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 4 მილიონ 800 ათასი ლარი გამოგვიყვეს, რომელიც სწორედ სასწრაფო პრობლემების გადასაჭრელად გადავანაწილეთ. რა თქმა უნდა, ყველა პრობლემა ერთიხელისმოსმით ვერ მოგვარდება, თუმცა ეტაპობრივად, მოსახლეობა იგრძნობს ყველა იმ სიკეთეს, რასაც ვთავაზობთ.

— ანუ ნაპირსამაგრი სამუშაოები 2014 წელს დასრულდება?

— დიახ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში პრიორიტეტული პროექტები წარვადგინეთ, რის შემდეგაც დუშეთის ხევში ბეტონის კედლის მშენებლობაც დაიწყო. პარალელურად, ორი ხიდის რეკონსტრუქციაც განხორციელდა. დუშეთში რამდენიმე ქუჩის მოასფალტებაც დასრულდა. რაც შეეხება სხვა სამუშაოებს, ბულაჩაურში, საიდანაც სასმელი წყლით მთელი თბილისი მარაგდება, მოსახლეობას სარწყავი არხებისა და სასმელი წყლის პრობლემა ჰქონდა. გამგეობის ინიციატივით, სარწყავი არხი ბულაჩაურსა და ქუბრიანში გაკეთდა. წინასაარჩევნოდ, როცა ადგილობრივ მოსახლეობას ვხვდებოდით, სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ვპირდებოდით. მართლაც, სირცხვილია, ბულაჩაურს, რომელიც არაგვზეა გაშენებული, სასმელი წყლის პრობლემა ჰქონდეს. ეს სამუშაოები რამდენიმე კვირაში სრულად დამთავრდება და მოსახლეობას 24 საათის განმავლობაში წყალი ექნება. საუკეთესო სარწყავი არხი კეთდება საგურამო – ჭოპორტის მიმართულებით. ასევე იგეგმება გრემისხევის წყალსაცავის რეაბილიტაცია, საიდანაც მთლიანად ბაზალეთის პლატო ირწყვებოდა. სამწუხაროდ, ყველაფერი დაშლილი დაგვხვდა, მილებიც კი ამოღებული იყო, თუმცა დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ვაჟა კირტავას და გაერთიანებულ სამელიორაციო კომპანიას გაწეული სამუშაოებისთვის. წყლის პრობლემა ფასანაურშიც აქვთ: ჩაბარუხის ხევი, საიდანაც ფასანაური სასმელი წყლით მარაგდება, წლების განმავლობაში უპატრონოდ იყო მიგდებული. შესაბამისად, წყალიც დაბინძურდა და მისი სასმელად გამოყენება შეუძლებელი გახდა. ქიმიური და ბაქტეოროლოგიური ანალიზების ჩატარების შემდეგ ალტერნატივის ძიება დავიწყეთ. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ფასანაური სასმელ წყალს ხევშადან მიიღებს. მოგეხსენებათ, ფასანაური მნიშვნელოვანი კურორტია, თუმცა მთელი ინფრასტრუქტურა აქაც დანგრეული დაგვხვდა. სამასი არაგველის ქუჩაზე, გაზაფხულობით არაგვის ადიდების საშიშროება მუდმივად იქმნებოდა, ამიტომ რკინა-ბეტონის კალაპოტის აშენება ფასანაურშიც გადაწყდა. ეს სამუშაოები ძალიან მალე დასრულდება. სტიქიამ ფშავშიც რამდენიმე სოფელი დააზარალა, მთავრობა აქაც მხარში დაგვიდგა — შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალი დათვალა და მთავრობამაც შესაბამისი დაფინანსება გამოყო. ამ თანხით ფშავში ხიდებისა და ნაპირსამაგრების რეაბილიტაციაც მოვახერხეთ. აღდგა გზაც, რომლის საშუალებითაც მსუბუქი ავტომობილიც ფშავში თავისუფლად ავა. ანალოგიური მდგომარეობაა კაწალხევში, სადაც 20 წელია სინათლე არ ყოფილა და სამუშაოების 80% უკვე შესრულებულია. სამწუხაროდ, ყინვებმა ხელი შეგვიშალა, თორემ ყველაფერი უკვე დასრულებული იქნებოდა.

ამასთან, პირმისაანთკარსა და ვარსიმაანში, სადაც დაახლოებით, 60 კომლი ცხოვრობს და ქალაქ დუშეთზეა მიბმული ეს დასახლება, სასმელი წყალი არასოდეს ჰქონიათ. ჩვენ გავაკეთეთ ჭაბურღილი, საიდანაც შიდაქსელების გაყვანის სამუშაოებიც დაწყებულია, რის შედეგადაც ყველა ოჯახი სასმელ წყალს მიიღებს. ამ ყველაფრის გაკეთება წინა ხელისუფლებასაც მარტივად შეეძლო, თუმცა პოლიტიკური ნება არ არსებობდა.

— დუშეთის ყოფილი გამგებელი ზურაბ ოტიაშვილიც ბიუჯეტის თანხის არამიზნობრივი ხარჯვისთვის დააკავეს?

— მიმაჩნია, რომ ყველა სამსახური დროებითია და არავის ეგონოს, მუდმივად თუნდაც თანამდებობის შენარჩუნებას შეძლებს. თანაც ყველამ საკუთარ ნაბიჯზე პასუხი უნდა აგოს. მე მზად ვარ, სრული პასუხისმგებლობა ჩემს თავზე ვიტვირთო. თანამდებობა საშუალებაა, საკუთარ ხალხს ემსახურო, ამიტომაც მაქსიმალურად ვცდილობ, სანამ ნდობის მანდატით ვსარგებლობ, დუშეთის რაიონის განვითარებისთვის მაქსიმალურად დავიხარჯო.

— მთავრობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად სამუშაო ადგილების შექმნა რჩება. თქვენ გაქვთ კონკრეტული გეგმა ამ მიმართულებით ან 2014 წელს დუშეთის რაიონში დაგეგმილი სამუშაოები, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას ხელს რამდენად შეუწყობს?

— დიახ, დასაქმება ერთ-ერთ მთავარ, მწვავე პრობლემად რჩება. ყოველ პარასკევს, ადგილობრივ მოსახლეობას ვხვდები, რომელთა 80% სწორედ დასაქმებას ითხოვს. ჩემი მიზანია, როგორც გამგეობაში, ისე ნებისმიერ დაგეგმილ პროექტში, ძირითადად, ადგილობრივები დასაქმდნენ. სხვათა შორის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ყველა სოფელში კრებებს ვატარებთ, სადაც თემი საკუთარ ინიციატივებს გვაცნობს. რასაც სოფელი მოგვთხოვს, აუცილებლად დაფინანსდება.

2014 წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვნი პროექტი იგეგმება. ვეძათხევში, მეწყერსაშიშ ზონაში, 18 კომლი ცხოვრობს, იგივე პრობლემაა დოლასქედსა და ზემო მლეთაში. ზემო მლეთაში თითოეულ ოჯახზე 10 ათასი ლარი უკვე გამოვყავით, სადაც 8 ოჯახი ცხოვრობს. გარდა ამისა, ეკონომიკის სამინისტროს ვთხოვეთ, ამ ხალხს იქვე, მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მეწყერსაშიში არ არის, მიწის ფართიც გამოუყოს. ათი ათასი ლარის ფარგლებში, დუშეთში სახლები მოგვეძია. ეს სამუშაო უკვე შევასრულეთ, სახლებიც ვნახეთ და, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში, ეკომიგრანტებს შესაბამის ფართს გადავცემთ. სხვათა შორის, დაბა ჟინვალში მოვიძიეთ შენობა, რომელიც მხოლოდ კარკასია და ვაპირებთ ამ კორპუსის აღდგენას, საპროექტო სამუშაოები უკვე დამთავრებულია. საპროექტი სამუშაოებზე ტენდერი უკვე გამოვაცხადეთ. აღნიშნული ბინები ყველაზე გაჭირვებულებს დაურიგდებათ. მათ შორის, სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და მრავალშვილიანებს. ამ კორპუსის მშენებლობაც 2014 წელს დასრულდება.

— ცნობილია, რომ დუშეთის რაიონში მოსახლეობის უმრავლესობას მიწები დარეგისტრირებული არ აქვს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად რა კონკრეტული ღონისძიებები იგეგმება?

— ჩვენ ამ მიმართულებითაც კონკრეტული ნაბიჯები გადავდგით. დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონი ირაკლი ტრიპოლსკის მეშვეობით, საჯარო რეესტრის წარმომადგენლებს შევხვდით, რის შემდეგაც მიწების აზომვითი სამუშაოები დაიწყება. სხვათა შორის, შარშან, მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ადგილობრივ შემოსავლებზე, დაახლოებით, 770 ათასით მეტი თანხა შემოვიდა. ამ თანხის წარმართვას ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვგეგმავთ — დუშეთში საუკეთესო ბაღი და სკვერი გვაქვს, რომელსაც მოვლა-პატრონობა სჭირდება, ასევე იგეგმება რაიონში გზების რეაბილიტაცია. გამგეობის ინიციატივით, შეიქმნება სტუდენტური ბარათებიც, რომლის საშუალებითაც ისინი დუშეთიდან თბილისში უფასოდ იმგზავრებენ. ანალოგიური მუნიციპალური პროგრამა მაღალმთიან სოფლებშიც იმუშავებს. მაგალითად, გუდამაყარი-ფასანაურის მიმართულებით, კვირაში ორჯერ, ასევე ხორხი-დუშეთი კვირა დღეს მოსახლეობას უფასო ავტობუსი მოემსახურება, რათა სოფლის მოსახლეობამ მოწეული პროდუქციის რეალიზება შეძლოს. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელ მაქართაში მინერალური წყალი ამოდის, რომელიც თავისი შემადგენლობით საუკეთესოა. სპეციალისტებმა მისი შემადგენლობა და თვისებები შეისწავლეს და ძალიან მალე ამ ადგილას დიდი ქარხნის მშენებლობა იგეგმება, სადაც ადგილობრივები დასაქმდებიან.

— ითქვა, რომ დუშეთის რაიონში ორი გადამამუშავებელი ქარხანა აშენდებოდა...

— დიახ, გადამამუშავებელ ქარხნებთან დაკავშირებით რამდენიმე შემოთავაზება მივიღეთ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით, თიანეთი-ჟინვალის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა მიმდინარეობს. ეს იქნება უმოკლესი გზა, რომელიც კახეთსა და თბილისს ერთმანეთთან დააკავშირებს. ამ პროექტის პარალელურად, ვფიქრობთ, დიდი სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობა და ასევე, გადამამუშავებელი ქარხნები გავაკეთოთ, სადაც ადგილობრივები მოწეულ პროდუქტს ჩააბარებენ. ფშავსა და მთიულეთში მოსახლეობას ხილი უფუჭდება, არ იციან, სად წაიღონ. თანაც ტყეში კენკრაც ჭარბი რაოდენობითაა, რომელსაც არავინ იყენებს. არადა, მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. ამ პროექტის განხორციელებას ჟინვალში ვგეგმავთ.

— სამუშაოები უკვე დაწყებულია?

— ვფიქრობ, გზების მშენებლობა წელს უნდა დამთავრდეს. პარალელურად, ქარხნის მშენებლობის დაწყებაზეც ვიფიქრებთ. მიმაჩნია, რომ მსგავსი პროექტები როგორც ეკონომიკის წინსვლას, ხალხის დასაქმებასაც ხელს მაქსიმალურად შეუწყობს. კიდევ ერთი საკითხია, რომელზეც საკმაოდ აქტიურად ვმუშაობთ. შეიქმნა პროექტი, რომლის მიხედვითაც, დუშეთის რაიონში პროფესიული გადამზადების ცენტრი კეთდება. ვნახოთ, ახალგაზრდები რა სპეციალობების ათვისებას ჩათვლიან პრიორიტეტად. გარდა ამისა, ქვეშეთში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული დარბაზი ავაშენეთ. საჭირო ინვენტარის მისაღებად კი დახმარება სპორტის სამინისტროს ვთხოვეთ. ამ საკითხზე დუშეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ტრიპოლსკიც აქტიურად მუშაობს.

— ცნობილია, რომ ირაკლი ტრიპოლსკის ინიციატივით, საფეხბურთო კლუბი „არაგვიც“ ჩამოყალიბდა.

— დიახ, საფეხბურთო გუნდიც აღვადგინეთ და იმედი მაქვს, საუკეთესო შედეგებსაც მივიღებთ. მიხარია, რომ ახალგაზრდები სპორტულ ცხოვრებას უპირატესობას ანიჭებენ და მონდომებულნი არიან, წარმატებას მიაღწიონ.

ვერსიანიუსი

„თბილისის მერიაში ფინანსთა სამინისტროს არც ერთი უწყება არ მუშაობს“

თბილისის ვიცე-მერის, ირაკლი აბესაძის განცხადებით, თბილისის მერიაში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურია შესული, თუმცა, როგორც ნოდარ ხადურმა განმარტა, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მუშაობს იმ კონტრაქტორ კომპანიებთან, რომლებზეც სამინისტროს ეჭვი აქვს, რომ ბიუჯეტის სახსრების მითვისებაში მონაწილეობდნენ.

„თბილისის მერიაში ფინანსთა სამინისტროს არც ერთი უწყება არ მუშაობს. ფინანსთა სამინისტროს ორი უწყება მათ შორის, საგამოძიებო სამსახური, მუშაობს იმ კონტრაქტორ კომპანიებთან, რომლებიც, გვაქვს ეჭვი, მონაწილეობდნენ იმ გარიგებაში, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მითვისებას შეეხებოდა. ამიტომ ასეთ კომპანიებს საგადასახადო და საგამოძიებო სამსახურები ამოწმებდა და შეამოწმებენ კიდეც. ეს პროცესი იქნება ღია. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ფისკალური ქმედებები და ეს სხვა მიზანს არ ემსახურება, გარდა იმისა, რომ მოხდეს მოპარული ფულის დაბრუნება“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

„პია“

„შოკში ვარ, ასეთი პედაგოგი რომ იმუშავებს ბავშვებთან, რომელ აღზრდასა და ჯანსაღ კვებაზეა საუბარი?“

რა ხდება კერძო საბავშვო ბაღებში

ემერაბ ბერიძე
599-45-50-26

შარშან, სექტემბრიდან, სახელმწიფო საბავშვო ბაღებში გადასახადი გაუქმდა. ეს სივრცე რეალურად გადატვირთულია და, საშუალოდ, ჯგუფში ბავშვების რაოდენობა 30-დან 40-მდე მერყეობს. საჭიროა განტვირთვა, მაგრამ ქვეყანას შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა არ აქვს. ამ და სხვა მიზეზების გამო, ხშირად მშობელს ბავშვის კერძო ბაღში მიყვანა უწევს, სადაც ასევე არცთუ სახარბიელო მდგომარეობას აწყდება.
ჩვენი რესპონდენტი (მისივე თხოვნით, ვინაობას არ ვასახელებთ) დედაქალაქის ერთ-ერთ კერძო საბავშვო ბაღში მუშაობდა. იქაურ რეჟიმს ორ თვეზე მეტი ვერ გაუძლო და წამოვიდა. გვიყვება საკუთარ შთაბეჭდილებებზე, რაც დაინტერესებული საზოგადოებისთვის საყურადღებო უნდა იყოს:

– ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში მდებარე ბაღში დავიწყე მუშაობა ნაცნობობით. მეგობარმა მითხრა მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ და დირექტორს დავუკავშირდი. სულ შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეთი დამხვდა, ჩემი პედაგოგიური მონაცემები მოეწონა და პირობებიც ამიხსნა. აღმოჩნდა, რომ თითოეული ბავშვისგან თვეში 300 ლარს იღებდნენ, ხელფასსაც ამდენივეს დამპირდნენ და მითხრეს, რომ ბავშვების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ანაზღაურებაც მომემატებოდა. მოკლედ, ჯერ „თავი უნდა მეჩვენებინა“ და მერე უკეთესობისკენ წავიდოდით. სამუშაოზე დილის ცხრიდან საღამოს 7 საათამდე უნდა ვყოფილიყავი. რატომღაც თავიდანვე არ მივაქციე ყურადღება, რომ 10 საათი სამსახურში ყოფნა გამიძნელდებოდა, რადგან ჩემი შვილი მოსწავლეა და ყურადღება მასაც სჭირდება. მოკლედ, შევთანხმდით და მუშაობა დავიწყე.

რომ მივედი, 8 ბავშვი დადიოდა ბაღში, მერე მოგვემატნენ და ბოლოს 25-ზე ავედით. ძალიან შემიყვარდნენ პატარები, ისინიც გვერდიდან არ მშორდებოდნენ. დირექტორსაც უხაროდა ასეთი დამოკიდებულება. აღმოჩნდა, რომ პატარებისთვის ყველა საგანი მარტო მე უნდა მესწავლებინა – წერა-კითხვა, ქართული, უცხო ენა, სიმღერა, პლუს, ყოველდღიური გამამხნევებელი ფიზკულტურა და ა.შ. მეგონა, დამატებით მეორე პედაგოგს ან თანაშემწეს მაინც აიყვანდა, მაგრამ მფლობელს ეს არ გაუკეთებია და მარტო ერთი მასწავლებლითა და კიდევ აღმზრდელით ფონს გასვლა უნდოდა. გასაგებია, რომ ის, უპირველესად, ფინანსურ მოგებაზე ფიქრობდა და ბავშვებისა და პედაგოგებისთვის სრულფასოვანი გარემოს შექმნა ნაკლებად აინტერესებდა.

ცალკე პრობლემა იყო კვება. მშობელი თითო ბავშვისთვის 300 ლარს იხდიდა და დღესაც დარწმუნებული ვარ, უკეთესი მენიუ უნდა ჰქონოდათ. ხორციანი კერძი იშვიათად იყო, ხოლო პედაგოგებს ზოგჯერ გარეთ გასვლა და საჭმლის ყიდვა გვიწევდა. მოკლედ, გარკვეული უკმაყოფილება დაგროვდა და ამ დირექტორს დაველაპარაკე. შევახსენე, რომ კონტინგენტის მატებასთან ერთად, გაუმჯობესებული პირობები უნდა მქონოდა. ვთხოვე, თუ შეგიძლიათ, ხელფასი მომიმატეთ ან დამატებით მასწავლებელი ან თანაშემწე აიყვანეთ, მუშაობის გაგრძელება რომ შევძლო-მეთქი. სამწუხაროდ, არც ერთ წინადადებაზე არ წამოვიდა. უკვე აშკარა იყო, დაპირებას არ ასრულებდა და იქ გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა. ორი თვის შემდეგ სამსახურიდან წამოვედი; მერე მითხრა იქ დარჩენილმა აღმზრდელმა, უკვე მერამდენე მასწავლებელი გამოიცვალა, მოჰყავს, უკეთესობას ჰპირდება, არ უსრულებს, ასეთ რეჟიმს ვერავინ ეგუება და გარბიანო. თურმე ამ ბაღში არც პირველი ვყოფილვარ და არც უკანასკნელი.

ჩემი შთაბეჭდილება ასეთია – არ მგონია, დიდი განსხვავება იყოს კერძო და სახელმწიფო ბაღებს შორის. რომელ სივრცეზეა საუბარი, ჩვენს ბაღს ნორმალური ეზოც კი არ ჰქონდა, ბავშვები ჰაერზე გამოგვეყვანა და გაგვესეირნებინა. ამას დავუმატოთ ერთი პედაგოგი, როგორი უნივერსალურიც უნდა იყოს, საქმეს სრულფასოვნად ვერ აუვა. უბრალოდ, არიან მშობლები, რომლებიც იძულებულნი არიან, შვილი სამსახურთან ახლოს, კერძო ბაღში მიიყვანონ (სახელმწიფო ბაღები ისედაც ცოტაა და გადატვირთულია). ამ დროს, წესიერად ვერც აქცევენ ყურადღებას, რა პირობებში უწევთ ყოფნა მათ პატარებს. არადა, მინიმალური გადასახადი 250 ლარია და ამაზე ბევრად ძვირიც. მშობელმა უნდა მიიღოს გადასახადის შესაბამისი მომსახურეობა და კერძო საბავშვო ბაღები ვიღაცისთვის ფულის საკეთებელი დაზგა არ უნდა იყოს.

საბავშვო ბაღების თემა სოციალურ ქსელშიც აქტუალურია. უფრო რეალური წარმოდგენა რომ შეგექმნათ, რამდენიმე მშობლის კომენტარს გთავაზობთ:

„საძინებელი, ფაქტობრივად, ყოველდღიურ ოთახში იყო (რაღაც თაღის მიღმა). ზოგადად, კერძო ბაღებში სივრცის პრობლემაა და რაღაც მაღალ სტანდარტებზე გელაპარაკებიან, რაც 2 წლის ბავშვს საერთოდ არ სჭირდება. არადა, ვერ ვიმეტებ სახელმწიფო ბაღში, 40 ბავშვთან ერთად.“

„რამდენიმე დღე გავატარე ერთ-ერთ კერძო ბაღში და ნებისმიერი სახელმწიფო, 100-კაციანი ჯგუფებით დაკომპლექტებული ბაღი მირჩევნია, სისუფთავით, ინტერიერით და ა.შ. ბავშვებთან დამოკიდებულებასა და პედაგოგებზე აღარაფერს ვამბობ“;

„არ შემიძლია, ეს არ გითხრათ! მეგობარი იყო ჩემთან, ლაპარაკს მოვაყოლეთ, ამ ბაღში სულ რომ ცივდებიან ბავშვები და რა მითხრა, გადავირიე — ვიღაც ახლობელს ერთ-ერთი საჯარო ბაღის მასწავლებლისთვის უკითხავს, ამდენ ბავშვს როგორ უვლითო და აი, მასწავლებლის პასუხი: ერთი ორპირი ქარი და ხვალ ამ ბავშვების ნახევარიც აქ არ იქნება! მე პირადად შოკში ვარ, ასეთები რომ იმუშავებენ ბავშვებთან, რომელ აღზრდა-განათლებასა და ჯანსაღ კვებაზეა საუბარი?“

გიორგი ონიანს ბრალი დაუმძიმდა

პროკურატურამ გიორგი ონიანს ლევან მდინარაძის, იგივე დიჯეი რემბოს საქმის გამო კიდევ ერთი ახალი ბრალი წარუდგინა, რის შესახებაც საგანგებო განცხადებას ავრცელებს:

„გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის 17 ოქტომბერს, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, გიორგი ონიანის მიერ კიდევ ერთი პირის დევნა განხორციელდა და ყოველგვარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, უკანონოდ იქნა დაკავებული კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ლევან მდინარაძე (საზოგადოებისთვის ცნობილი ზედმეტსახელით დიჯეი რემბო). გ. ონიანის ბრძანებით დაკავებული გადაყვანილი იქნა გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში ისე, რომ მას ჩხრეკა არ ჩატარებია. ლევან მდინარაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის ხელოვნურად შექმნისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით, გიორგი ონიანმა საქმის გამომძიებელს წარუდგინა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა და დაავალა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში აესახა ამ ნარკოტიკული საშუალების ლევან მდინარაძისაგან ამოღების ფაქტი, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. ამასთან, საუბრისას გიორგი ონიანმა უკანონოდ დაკავებულ ლევან მდინარაძეს განუცხადა, რომ იგი ისჯებოდა „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების გავრცელების გამო. ლევან მდინარაძის მიმართ უკანონოდ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11 წლამდე ვადით. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისათვის გიორგი ონიანს წარედგინა ბრალდება, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვა წლამდე ვადით.“

„პია“

ვლადიმერ პუტინი ნობელის პრემიაზე წარადგინეს

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მშვიდობის დარგში 2014 წლის ნობელის პრემიაზე წარდგენილ კანდიდატთა შორისაა ნომინირებული. ინფორმაციას ამის შესახებ „როიტერი“ ავრცელებს და აღნიშნავს, უკრაინაში არსებული კონფლიქტი, სავარაუდოდ, ნობელის პრემიის დღის წესრიგში კორექტივებს შეიტანს.

ნორვეგიის ნობელის ინსტიტუტის დირექტორის, გეირ ლუნდესტადის განცხადებით, მიმდინარე წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე რეკორდული რაოდენობის – 278 კანდიდატია წარდგენილი, მათ შორის — 47 ორგანიზაცია. ამასთან, მშვიდობის დარგში 2014 წლის ნობელის პრემიის კანდიდატთა შორის დასახელებული არიან აშშ-ს დაზვერვის ყოფილი კონტრაქტორი ედვარდ სნოუდენი, პაკისტანელი აქტივისტი და უფლებადამცველი, 16 წლის მალალა იუსუფზაი და რომის პაპი ფრანცისკი. 4 მარტს გამართულ სხდომაზე კომიტეტმა კანდიდატთა სია შეამცირა, აპრილის ბოლოსთვის კი ამ ნუსხას 10 კანდიდატამდე დაიყვანს. 2014 წლის ნობელის პრემიის გამარჯვებული ოქტომბერში გამოვლინდება.

„ინტერპრესნიუსი“

რევაზ არველაძე: „ჰესების მშენებლობაზე მემორანდუმების გაფორმებამდე, პროფესიონალთა საბჭოს გადაწყვეტილებაა საჭირო“

არის თუ არა ქვეყანაში დიდი ჰესების მშენებლობის ბუმი და რა უნდა გაითვალისწინოს ენერგეტიკის სამინისტრომ ინვესტორებთან ურთიერთობისას

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

საქართველოს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ, მიმდინარე წლის 27 თებერვალს, განცხადება გაავრცელა, სადაც კიდევ ერთხელ დააფიქსირეს პოზიცია დიდი ჰესების, როგორც ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ამაღლების ერთადერთი საშუალების, მშენებლობის აუცილებლობის შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ჰესების მშენებლობის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზეც გაამახვილეს ყურადღება: „საქართველოს ჰიდროენერგეტიკა ინვესტორებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სექტორია. პროექტების განხილვის გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობას გრძელვადიანი ენერგეტიკული სტრატეგია ჰქონდეს თავისი გამოწვევებით, შეფასებებითა და მოსალოდნელი შედეგებით. აუცილებელია მკაფიო პოზიცია ინვესტორებთან ურთიერთობაში, საინვესტიციო გაიდები, ადგილობრივი პოტენციალის შეფასების ეფექტური კრიტერიუმები. შესაბამისად, დღეს, როდესაც ინვესტორებთან მემორანდუმები ფორმდება, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ეფექტურად ვიყენებთ თუ არა მდინარის წყალშემკრები აუზის ჰიდროპოტენციალს“.
რა მექანიზმები და რეგლამენტებია ჩადებული ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ, გადაწყვეტილების მიღების დროს ან როგორ მიიღება ეს გადაწყვეტილება — ერთპიროვნულად თუ კომისიურად? რა კრიტერიუმებს ეფუძნება ამ ტიპის გადაწყვეტილება? არის თუ არა გადაწყვეტილების მიმღები ადამიანების კვალიფიკაცია საკმარისი? „ვერსიას“ საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ არველაძე ესაუბრება.

— ბატონო რევაზ, საქართველოში ჰესების მშენებლობის ნამდვილი ბუმია, მიმდინარე წლის ორ თვეში, ენერგეტიკის სამინისტრომ სხვადასხვა ინვესტორთან, ათზე მეტი მემორანდუმი გააფორმა. რამდენად გამჭვირვალედ და პროფესიულად მიმდინარეობს ეს პროცესი?

— ვერ ვიტყოდი, რომ ჰესების მშენებლობის ბუმია, რადგან მემორანდუმების გაფორმება, ჯერ კიდევ ბუმს არ ნიშნავს. ნამდვილი ბუმი ჩინეთში, ინდოეთში, ბრაზილიასა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაშია, თუმცა აბსოლუტურად ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ჰიდროენერგეტიკის განვითარება ენერგოდამუკიდებლობის ამაღლებას ნიშნავს და აქედან გამომდინარე, არ შემეშინდება იმის თქმაც, რომ ეს ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნების ერთ-ერთი გზაცაა. თუმცა ისიც ცხადია, რომ პროფესიული თვალსაზრისით, ამ პროცესს სწორად წარმართვა სჭირდება. რეალური საფრთხე არსებობს, რომ გარკვეული ეიფორიისა და სიჩქარის გამო, შესაძლოა, ამ პროცესში გამოუსწორებელი შეცდომები დავუშვათ.

— შეცდომების დაშვებაში რას გულისხმობთ?

— საქართველოს ბუნებრივი გაზისა და ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგი არ გააჩნია, მაგრამ ჰიდრორესურსები უმთავრესი ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსია, ამიტომ ამ რესურსს სწორი გამოყენება უნდა, რომლითაც ქვეყანამ და საქართველოს მოსახლეობამ სარგებელი უნდა ნახოს. სამწუხაროდ, არ ვიცით, რამდენია ეს რესურსი. მართალია, ჰიდრორესურსების კვლევა გასული საუკუნის 60-80-იან წლებში ჩატარდა, მაგრამ ჰიდროლოგიის ცვლილებისა და ეკოლოგიური მოთხოვნების გამკაცრების გამო, სერიოზულ გადაფასებას მოითხოვს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტექნიკური და ეკონომიკურად გამართლებული პოტენციალი, ჰესების მშენებლობის ტექნოლოგიების განვითარებასა და რეგიონში ელექტროენერგიის ფასების ცვლილებასთან ერთად იცვლება. ამდენად, ენერგეტიკის სამინისტროს უპირველესი ამოცანა, ამ პოტენციალის დაზუსტება უნდა იყოს. უნდა ვიცოდეთ, რა ჰიდრორესურსები გაგვაჩნია, რისი ათვისებაა დღეს ტექნიკურად შესაძლებელი და ეკონომიკურად გამართლებული.

— ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია პოტენციური ჰესების ნუსხა, იქვე შესაძლებელია, კომპანია „დელოიტის“ მიერ, ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოების ნახვაც, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ჰიდროპოტენციალი ცნობილია?

— ის, რაც სამინისტროს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული, ამა თუ იმ მდინარის პოტენციალის ათვისებასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთი, ამ სამუშაოს შემსრულებელი კომპანიის მოსაზრებაა, თანაც ეს ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ნაწილია. როგორც ვიცი, ინვესტორები მთავრობასთან მემორანდუმების გაფორმების შემდეგ, თავად ატარებენ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებს და დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ხშირად, მათი შედეგები, სამინისტროს ინფორმაციისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, თუმცა ვერავინ გეტყვით, რომელია ოპტიმალური, რადგან ეს საკითხი სერიოზულ შესწავლას მოითხოვს.

— ფიქრობთ, შესაძლებელია, ეს პოტენციალი ინვესტორებმა არაოპტიმალურად აითვისონ?

— რა თქმა უნდა, რადგან ჩვენ არ ვიცით ინვესტორების მიზნები. მაგალითად, ხშირად მსმენია, რომ ინვესტორი გადაწყვეტილებას იღებს არა პოტენციალის ეფექტურად ათვისების მიხედვით, არამედ — საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. იქ, სადაც შესაძლებელია, 50 მგვტ-ის სიმძლავრის ჰესი აშენდეს, გამორიცხული არ არის, ინვესტორმა 15 მგვტ. სიმძლავრის ჰესი ააშენოს, რადგან მეტი ფული არ აქვს ან საკუთარი მიზნებისთვის მეტი არ სჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანამ 35 მგვტ. სიმძლავრის პოტენციალი დაკარგა. შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს, რადგან კონკრეტულ ობიექტზე ინვესტორს კონკურსის წესით არჩევენ და არ გამოვრიცხავ, ინვესტორმა გადაჭარბებული შეფასებები გააკეთოს. ნებისმიერ შემთხვევაში, სამინისტრომ შემოსული წინადადებები უნდა შეაფასოს, ეს კი ურთულესი ამოცანაა.

— კი, მაგრამ მემორანდუმის გაფორმების დროს, ენერგეტიკის სამინისტრო ამას ყურადღებას არ აქცევს?

— ვერ გეტყვით, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ამ საკითხს ყურადღებას უნდა აქცევდეს. ალბათ, ცდილობს კიდეც, თუმცა სამწუხაროდ, ენერგეტიკის სამინისტროს საკმარისი პროფესიული რესურსი არ აქვს და ამიტომაც ვშიშობ, რომ ეს პროცესი ფორმალურ ხასიათს ატარებს.

— თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა გამოსწორდეს და ჰიდროპოტენციალის დაკარგვის საშიშროება მინიმუმამდე დავიდეს?

— პირველ რიგში, ენერგეტიკის სამინისტრომ უნდა გააცნობიეროს, რამხელა პასუხისმგებლობას იღებს ამგვარი მემორანდუმების გაფორმების დროს. ფაქტობრივად, სამინისტრო ქვეყნის ყველაზე დიდ სიმდიდრეს განკარგავს, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცეს. ჩემი აზრით, როგორც მინიმუმ, თითოეული მემორანდუმის გაფორმებას, წინ უნდა უძღვოდეს ექსპერტული შესწავლა-შეფასება და საბოლოო გადაწყვეტილება სპეციალურმა კომისიამ უნდა მიიღოს. ადრე ამისთვის, სამინისტროში ტექნიკური საბჭო არსებობდა, რომელშიც თანამშრომლებთან ერთად, მოწვეული სპეციალისტებიც შედიოდნენ. გარდა ამისა, სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში შედიოდა რამდენიმე სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი, რომლებიც ასევე ჩართულები იყვნენ ამ პროცესში. კარგი იქნება, თუ ენერგეტიკის სამინისტრო სასწრაფოდ დაიწყებს ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების სქემის დამუშავებას. მთავრობის მიერ დამტკიცებული ასეთი სქემის არსებობის პირობებში, საკუთარი სურვილის მიხედვით, ინვესტორები ჰიდროელექტროსადგურის განთავსების ადგილსა და პარამეტრებს ვეღარ შეარჩევენ.

— რას იტყვით ბახვის ჰესზე მშენებლობის დროს მომხდარი ავარიების შესახებ და იმ ფაქტზე, რომ 5-6 წლის წინ დაწყებული მტკვარიჰესის მშენებლობა, რომელშიც ინვესტორმა 28 000 000 აშშ დოლარი ჩადო, მრავალი წელია შეჩერდა. რა არის ამ შემთხვევაში სახელმწიფოს როლი, უნდა აკონტროლებდეს თუ არა მშენებლობის ხარისხს?

— ბახვის ჰესის ავარიის შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ის, რომ სახელმწიფომ მშენებლობის ხარისხი და უსაფრთხოების ნორმების დაცვა უნდა გააკონტროლოს, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლოატაციის პერიოდში, უდავოა. მცდარია შეხედულება, როდესაც ამბობენ, რომ ავარიების შედეგად, მხოლოდ ინვესტორი ზარალდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ავარიები ჩვენს ტერიტორიაზე ხდება, მათგან გამოწვეული პრობლემებითა და ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხებებით, პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობა ზარალდება. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ეს კონკრეტული ავარია პროფესიულ შესწავლას მოითხოვს. ინვესტორის პარალელურად, მშენებლობის ხარისხი სახელმწიფომაც უნდა გააკონტროლოს, ბოლოს და ბოლოს, საქმე ხომ ქვეყნის უპირველესი სიმდიდრის ათვისებას ეხება. მაგალითად, ენგურჰესის მშენებლობაზე, ბეტონის ხარისხი სპეციალურ ლაბორატორიაში მოწმდებოდა, სადაც 150 კაცი მუშაობდა, მშენებლობის დასრულების შემდეგ კი მარტო თაღოვანი კაშხლის უსაფრთხოების მონიტორინგზე, 40-მდე კაცი იყო დასაქმებული. ჰიდროელექტროსადგურებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოება უდიდესი მნიშვნელობის საკითხია და ამ მიმართულებით, სახელმწიფოს როლი და ვალდებულებაა, ასეთი მაღალი რისკის ნაგებობების მშენებლობა-ექსპლუატაცია მუდმივად აკონტროლოს. რაც შეეხება მტკვარიჰესს, სახელმწიფომ ეს საკითხიც დეტალურად უნდა შეისწავლოს. გასარკვევია, რა ეტაპზე დაუშვეს შეცდომა, ტექნიკური დავალების გაცემისას, წინა საპროექტო დროს, პროექტირებისა, თუ მშენებლობის პერიოდში. სახელმწიფომ ამ ჰესის მშენებლობაზე ნებართვა გასცა, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი საკითხი კარგადაა შესასწავლი, მაგრამ პერსონალურად უნდა გაირკვეს, ვინ და რა შეცდომა დაუშვა — სახელმწიფომ, პროექტის ავტორმა, ინვესტორმა, მშენებელმა თუ სხვამ. უნდა ვიცოდეთ, შეცდომა სქემის არჩევისას დაუშვეს, თუ არა, ან ეს სქემა ოპტიმალური იყო, თუ არა? ასეთი ანალიზი საშუალებას მოგვცემს, მომავალში, ამ ტიპის შეცდომები თავიდან ავირიდოთ. ამდენი წელია, ამ ჰესის მშენებლობა შეჩერდა, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ამგვარი ანალიზი ჯერ არ გაკეთებულა.

— გამოდის, ჰესების მშენებლობაზე მემორანდუმების გაფორმებისას და მათი მშენებლობის პროცესში, ენერგეტიკის სამინისტროს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ რამდენადაა ამისთვის მზად?

— რა თქმა უნდა, ენერგეტიკის სამინისტრო ამ პროცესში ლიდერი უნდა იყოს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისი წილი (და საკმაოდ სერიოზული) პასუხისმგებლობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის სამინისტროებს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც ეკისრებათ. ზოგადად, ჰიდრორესურსების ათვისება, ოპტიმალური სქემის შერჩევა კომპლექსური და ურთულესი ამოცანაა და აქედან გამომდინარე, ვოლუნტარიზმის გამოვლენა დაუშვებელია!

ვერსიანიუსი

ქუთაისიდან ბუდაპეშტში ფრენა 30 ევრო ეღირება

უნგრული ავიაკომპანია WIZZAIR ბუდაპეშტის მიმართულებით ახალ რეგულარულ რეისს ამატებს. ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ, დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა და დასძინა, რომ პირველი რეისი ქუთაისის აეროპორტიდან უნგრეთის დედაქალაქის მიმართულებით 30 სექტემბერს განხორციელდება და ის კვირაში ორჯერ შესრულდება. მგზავრობის საფასური 29.99 ევროდან დაიწყება, რაც მინისტრის განცხადებით, მოსახლეობას საშუალებას მისცემს, ევროპაში კიდევ უფრო იაფად გაემგზავროს.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის ქეთევან ალექსიძის, ინფორმაციით, ქუთაისის აეროპორტმა 2012 წლის 27 სექტემბრიდან, ანუ გახსნიდან დღემდე 226 850 მგზავრი გადაიყვანა. აქედან WIZZAIR-ზე 190 000 მგზავრი მოდის. კომპანია საქართველოში 2012 წლის 27 სექტემბრიდან ოპერირებს და ქუთაისის აეროპორტიდან ასრულებს პირდაპირ რეგულარულ ავიარეისებს კიევის, დონეცკის, ხარკოვის, კატოვიცეს და ვარშავის მიმართულებით. იგეგმება რეისების დამატება ლვოვსა და ვილნიუსშიც.

„ინტერპრესნიუსი“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„ჩვენ ვზრდით პროფესიონალებს!“



რით განსხვავდება „გორგასალი“ სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“ საქართველოს იმ უმაღლეს სასწავლებელთა შორისაა, რომლებმაც განათლების რეფორმის მოთხოვნათა დაკმაყოფილება შეძლეს. ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ სასწავლებელმა, 2005, 2007 და 2012 წლებში წარმატებით გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაციისა თუ ავტორიზაციის ყველა ეტაპი. ეს მართლაც წარმატება იყო, რადგან ამ პერიოდში, არაერთი ინსტიტუტი დაიხურა ან შეუერთდა სხვა უმაღლეს სასწავლებელს. „ერთი მთლიანი უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელო ნაწილების ერთობლიობა“, — ძველი ბერძენი ფილოსოფოსისა და მეცნიერის, არისტოტელეს ეს სიტყვები ჩვენი უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრების საფუძველია“, — აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი მზია ქათამაძე და შესაბამისად, სასწავლებლის წარმატების საიდუმლოსაც გვიმხელს, — „სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ერთი მთლიანი, მუდამ განახლებადი სისტემა, რომელიც ერთ საერთო საქმეს — სტუდენტებისათვის კვალიფიციური განათლების მიცემას ემსახურება“.

აბიტურიენტი რომ ვიყო, არჩევანი „გორგასალზე“ რატომ უნდა შევაჩერო? — სასწავლებელში სტუმრობისას, პირველი და, ალბათ, ყველაზე ლოგიკური კითხვა თავისთავად გაჩნდა. **„იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს სწავლების განსაკუთრებული მეთოდი, მუდმივად ვცდილობთ წავახალისოთ საუკეთესო და აქტიური სტუდენტები, უნივერსიტეტს საქმიანი და მეგობრული თანამშრომლობა აკავშირებს ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან, მიმდინარე სასწავლო წლიდან კი, ამოქმედდება ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი Tempus, რომელიც ჩვენ სტუდენტებს, მაღალკონკურენტუნარიანი და კვალიფიციური განათლების მიღების მეტ შანსს მისცემს“,** — მიპასუხა პროფესორმა მზია ქათამაძემ და უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული პროგრამის მთავარი მიზანიც გამაცნო: კლასიკური განათლების ბაზაზე ინოვაციური განათლების განვითარება; მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება აქტუალური თანამედროვე მიმართულებებით; ქვეყანაში კულტურული და სოციალური გარემოს ცვლილების ხელშეწყობა, უმაღლესი განათლების პროცესში სტუდენტთა პროფესიული ცოდნის მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და სულიერი განვითარების კომპონენტების შერწყმით; სპეციალისტების მაღალხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა, ინოვაციური სასწავლო კურსების დანერგვა, სტუდენტთა ასევე ინოვაციული აზროვნების განვითარების გზით; სტუდენტთა სოციალურად ორიენტირებული სამეწარმეო აქტივობის განვითარება, ბიზნესის წარმომადგენელთა ჩართვა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში.



დღეს „გორგასალში“ 600 სტუდენტი ეუფლება განათლებას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 4 ფაკულტეტი და ხორციელდება 7 საბაკალავრო (ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის, მენეჯმენტის, ეკონომიკის, სამართლის, ინგლისური ფილოლოგიის და ფარმაციის), ერთი ერთსაფეხურიანი (სტომატოლოგიის) და სამაგისტრო პროგრამები. სტუდენტებს ლექციებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი უკითხავს, მაგალითად პროფესორები — მარინა შაქარაშვილი, მარინა კობახიძე, მანანა ორჯონიკიძე, კონსტანტინე აბულაძე, ვაჟა კაკაბაძე, ზაურ ჯინჯოლავა, ვახტანგ ანთია, ფრიდონ ბურდული, მარინა ბურდული, ნინო ციხიშვილი და ქეთევან გოჩიტაშვილი.

უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კომპიუტერიზებული ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები, უმაღლესი დონის საკონფერენციო და სპორტული დარბაზები... მოკლედ, „გორგასალში“ ყველა პირობაა შექმნილი სრულყოფილი განათლების მისაღებად.

„ეს მუზეუმი არ გეგონოთ, აქ ლექციებს ვკითხულობთ. ამ დიაგრამებით კი, სტუდენტებს ეკონომიკის, ტურიზმის, ბიზნესის სფეროს მნიშვნელოვანი საკითხების ადვილად გააზრებაში ვეხმარებით“, — მეუბნება პროფესორი კონსტანტინე აბულაძე და მეტი თვალსაჩინოებისთვის, ერთ-ერთი დიაგრამის „გაშიფვრაში“ მეხმარება. მეთოდი აშკარად მარტივი და რაც მთავარია, საინტერესოა. ისევე, როგორც ის, რას სთავაზობს „გორგასალი“ სტუდენტებს განსაკუთრებულს. უნივერსიტეტში დანერგილი სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას კონსტანტინე აბულაძე გვაწვდის: **„სტუდენტებს სპეციალობების საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვან არჩევანს ვთავაზობთ. უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, წარმატებით ფუნქციონირებს ჯანმრთელობის დაცვის ფაკულტეტი, სადაც ხორციელდება სტომატოლოგიისა და ფარმაციის საბაკალავრო პროგრამები; გვაქვს გახსნილი სტომატოლოგიური კაბინეტი, რომელსაც ახლა ვაფართოებთ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს განუვითაროს სტუდენტს ინგლისური ენისა და ლიტერატურის როგორც პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ასევე მისცეს მას თეორიის საბაზისო ცოდნა; აღსანიშნავია, რომ ჩვენ არაქართულენოვან სტუდენტებსაც ვაძლევთ განათლების მიღების საშუალებას — ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის აკრედიტებული პროგრამაა, რომელიც ორიენტირებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის 1+ დონის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. ეს აუცილებელია, რათა მათ სასწავლო უნივერსიტეტში სწავლა სასურველი საბაკალავრო პროგრამით გააგრძელონ. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი მუშაობს ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაზე, რომელიც სავარაუდოდ, 2014-2015 სასწავლო წლიდან ამოქმედდება; იურიდიულ ფაკულტეტზე ხორციელდება აკრედიტებული სამართლის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების მომზადებაზე იურისტის რეგულირებადი პროფესიისთვის და სამართლის მიმართულებით ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. ლექციებს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის გარდა, მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტებიც კითხულობენ. პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ცენტრი. კოდიფიცირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საინფორმაციო საძიებო სისტემები „GSS კოდექსი“, რომელთანაც ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული და გვაქვს წვდომა თბილისის სააპელაციო სასამართლოს — სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე... გვაქვს აგრეთვე იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი, იურიდიული კლინიკა, სასწავლო პროცესის ავტომატიზებული მართვის სისტემა...“**

ეს ყველაფერია იმის მიზეზი, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე სასწავლებელში საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. ასევე ბევრი სტუდენტი ეუფლება სტომატოლოგის სპეციალობას. ბიზნესის ადმინისტრირება და ტურიზმი — ეს „გორგასალში“ ყველაზე მოთხოვნადი კიდევ ორი მიმართულებაა. კონსტანტინე აბულაძე განმარტავს, რომ სასწავლებელში ტურიზმის განსხვავებული და საინტერესო პროგრამა ხორციელდება. **„ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი და ამავდროულად, ამ სპეციალობაზე დამსაქმებელი მე გახლავართ. ჩვენ გვაქვს არასამთავრობო ორგანიზაცია, „ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი“, რომელიც ახალ ტექნოლოგიებზე მუშაობს. მარშრუტების გაყვანასა და პროექტირებას გეოინფორმაციული სისტემებით ვახდენთ. ჩვენი სტუდენტები ელექტრონულ რუკებს ადგენენ. რაც შეეხება ბიზნესადმინისტრირებას, შევქმენით ბიზნესინკუბატორი — სააკაძის მოედანზე ფართი გამოვყავით, სადაც სტუდენტები სხვადასხვა პროექტზე მუშაობენ და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხელფასსაც იღებენ“.**

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ „გორგასალში“ ეკონომიკური ბლოკის პროგრამების გაძლიერებული სწავლება მიმდინარეობს. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, აქ, სტრატეგიულ, ოპერაციულ მენეჯმენტსაც ასწავლიან, რათა ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგაც, კურსდამთავრებულმა, ამ სფეროში წარმატებით იმუშაოს.

უნივერსიტეტის პროგრამები დაკავშირებულია პრაქტიკულ საქმიანობასთან. მაგალითად, ამ მიზნით ჩვენ დავაფუძნეთ სასწავლო ბანკი „გორგასალი“. „პრივატ ბანკთან“ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სასწავლო პროცესში ბანკის თანამშრომლებიც ერთვებიან, ლექციებს კითხულობენ, მონაწილეობენ აკადემიური პროგრამების შედგენაში, საუკეთესო სტუდენტები კი, ბანკში საქმდებიან. სასწავლებელს თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „ნიკორასთანაც“, სადაც ასევე „გორგასლის“ არაერთი სტუდენტი თუ კურსდამთავრებული მუშაობს. უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. სტუდენტები პრაქტიკას გადიან საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებში, ტურისტულ ფირმებსა და სასტუმროებში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ნოტარიუსთა პალატაში, პროფესიული განვითარების ევროპულ ცენტრში, საადვოკატო ოფისებში. წარჩინებული სტუდენტები იღებენ სტიპენდიას.

უნივერსიტეტის რექტორი მზია ქათამაძე ევროპის რექტორთა კლუბის წევრია. კლუბის წევრთა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყანაში წელიწადში რამდენჯერმე იმართება, რაც უნივერსიტეტს უცხოელ კოლეგებთან, ევროპის უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირების დამყარებაში ეხმარება. ამ ურთიერთობების შედეგია საქმიანი კონტრაქტები და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები საფრანგეთის, ჰოლანდიის, ჩეხეთის, აშშ-სა და ლატვიის პრესტიჟულ უნივერსიტეტებთან. სასწავლო წლის განმავლობაში, სტუდენტთა სურვილისამებრ, იგეგმება სასწავლო-შემეცნებითი ტურები ევროპაში. თავად „გორგასალსაც“ ხშირად სტუმრობენ უცხოელი პარტნიორები და ასევე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ჰოლანდიის ახალ ევროპულ უნივერსიტეტთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაც შემუშავდა, გაიცემა ორმაგი დიპლომი.

„ამ ფონზე, სიამაყით ვიწვევ ყველა მსურველს ჩვენთან სასწავლებლად და სათანამშრომლოდ“, — აცხადებს მზია ქათამაძე, რომელიც, მისი სასწავლებლის სხვა უნივერსიტეტებისგან განმასხვავებელ ყველა ფაქტორს, ასევე სიამაყით, ერთ ფრაზაში ატევს: **„გორგასალი“ ზრდის პროფესიონალებს!“**

რას ჩუქნიან ცნობილ ადამიანებს

როცა ახლობლის ან მეგობრისთვის საჩუქარს ირჩევ, გინდა, რომ არა მხოლოდ ორიგინალურობით, არამედ გემოვნებით გააოცო ყველა. ბანალური საჩუქრები დღეს არავის სჭირდება — ადრესატი საჩუქრითა და მისი გადაცემის პროცესითაც უნდა გააკვირვოთ. თუ დღესასწაულის მთავარი გმირი მამაკაცია, „ფრეზენთი“ მოდური უნდა იყოს, საყვარელი მანდილოსნის გულის მოსაგებად კი მას ლამაზი და რომანტიკული ნივთი უნდა აჩუქოთ:

ჰოლივუდური წყვილი — კეტრინ ზეტა-ჯონსი და მაიკლ დუგლასი ამერიკული შოუბიზნესის სამყაროში ლამის ყველაზე სამაგალითო ოჯახად ითვლება, მეუღლეებმა ერთად გადაიტანეს მძიმე პერიოდი, დაშორდნენ, შერიგდნენ... ერთ მშვენიერ დღეს კი კეტრინმა მეუღლისგან საჩუქრად ციხე-სიმაგრე მიიღო, რომელიც უელსში მდებარეობს. საერთოდ, უძრავი ქონების ჩუქება ძალიან პოპულარულია. მაგალითად, ცნობილმა რუსმა ოლიგარქმა, ნაომი კემპბელს, ვიდრე ერთად იყვნენ, ლონდონში მდებარე უძვირფასესი აპარტამენტები აჩუქა.

ჯენიფერ ენისტონი ყველაზე ძვირფას საჩუქრებს შორის იახტას აღნიშნავს, რომელიც თითქმის ექვსი მილიონი დოლარი ღირს და ყოფილმა ქმარმა, ბრედ პიტმა მიუძღვნა. პიტის ამჟამინდელმა მეორე ნახევარმა, ანჯელინა ჯოლიმ ქმარს ჯერ ვერტმფრენი აჩუქა, ცოტა ხნის წინ კი, ბრედს დაბადების დღეზე საკმაოდ ორიგინალური გულის ფორმის კუნძული პეტრა უსახსოვრა, რომელშიც 19,5 მილიონი დოლარი გადაიხადა. ფეხბურთელმა კრიშტიანუ რონალდუმ ირინა შეიკს მამუ-

ლის გასაღები გადასცა, რომლის ღირებულებაც, დაახლოებით, შვიდი მილიონი დოლარია.

ვლადიმერ პუტინმა მოლდოვას პრეზიდენტისგან მეტად უჩვეულო საჩუქარი მიიღო — ვორონინმა კოლეგას ნიანგი გაუგზავნა და ამაში, ალბათ, ღრმა ჩანაფიქრიც დევს — ეს ცხოველი არასოდეს გადაადგილდება უკანა მიმართულებით. რუსმა მომღერალმა ბორის მოისეევმა, რომელიც ცნობილია უჩვეულო საჩუქრებით, მოდელიორ იუდაშკინს დიდი კასრი მიართვა, რომელიც სავსეა სხვადასხვა ფერის ძაფებით. ერთ-ერთ რუს მომღერალს კი, ლადა დენსს, რომელიც თვითმფრინავით გასტროლებზე მიფრინავდა, უცნობმა თაყვანისმცემელმა, ცნობილი სიმღერის მიხედვით, დაუვიწყარი დღე აჩუქა — თვითმფრინავის ბორტი გატენილი იყო მილიონი ვარდით.

საყოველთაოდ აიფონოგრაფიას ეზიარებიან

უახლოეს მომავალში, ლონდონის ორი კოლეჯის ხელმძღვანელობა აპირებს, სასწავლო გეგმაში აიფინოგრაფიის სპეციალური კურსი შემოიღონ — სტუდენტებს, აიფონის მეშვეობით, პროფესიული ფოტოების გადაღებას შეასწავლიან. დისციპლინის პედაგოგის, რიჩარდ გრეის თქმით, ამ ლექციებზე დასასწრებად საჭიროა ფოტოგრაფიის სიყვარული, შემოქმედებითი ნიჭი და, რასაკვირველია, თავად აიფონი. კურსის ღირებულება 115 გირვანქა სტერლინგი იქნება, პლუს, 20 გირვანქა აუცილებელი მოწყობილობების შესაძენად. აიფინოგრაფიაში პირველი მეცადინეობა რამდენიმე კვირაში დაიწყება, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რამდენი დაინტერესებული სტუდენტი მივა ლექციაზე. გარდა აიფონის კამერის ღირსებებისა და მისი გამოყენებისა, ხელოვნების კურსის ფარგლებში, გრეი სტუდენტებს ფოტოგრაფიის ხელოვნებას — კომპოზიციას, ფერსა და შუქს შეასწავლის. მსურველები ფოტოების რედაქტირების საშუალებასაც აითვისებენ. თუკი ეს კურსი პოპულარული აღმოჩნდება, კოლეჯების ხელმძღვანელობა ანალოგიურ ლექციებს „ანდროიდის“ სისტემაზე მომუშავე მობილურებისთვისაც ჩაატარებს.

ჩვილს ძუძუს დიდი ბებია აჭმევს

უნიკალური შემთხვევა დაფიქსირდა ყაზანში: 78 წლის ქალმა ახალშობილის ძუძუთი კვება დაიწყო. ჩვილის დედა საავადმყოფოში მოხვდა, მკურნალობა დაუნიშნეს და ბავშვის კვება აუკრძალეს, მაგრამ პატარამ უარი თქვა ბოთლიდან ჭამაზე და გამუდმებით ტიროდა. ამ დროს დასახმარებლად მამის ბებია გამოჩნდა. 78 წლის დიდმა ბებომ ბავშვს დასაწყნარებლად ძუძუ ჩაუდო და ამან იმოქმედა. ექიმებმა კი ამ ვითარების გამოყენება გადაწყვიტეს და ჩვილის გამოსაკვებად, ე.წ. SNS-სისტემა გამოიყენეს — მილის ერთი ბოლო რძიან ბოთლში დევს, მეორე კი ბებოს მკერდს მიამაგრეს და ბავშვიც მშვიდად ჭამდა. ასეთი მეთოდით ბებია შვილთაშვილს რამდენიმე დღის განმავლობაში აჭმევდა, მერე კი ყველაზე მოულოდნელი რამ მოხდა — დიდ ბებიას რძე ჩაუდგა! ახლა იგი პატარასთვის მეორე დედად იქცა.

მაკდონალდსს ხელსახოცის გამო უჩივის

ამერიკელ მამაკაცს სურს, სწრაფი კვების რესტორნების ქსელისგან ნახევარი მილიონი დოლარის კომპენსაცია მიიღოს იმის გამო, რომ შეკვეთასთან ერთად, მხოლოდ ერთი ხელსახოცი მიუტანეს. ინციდენტი კალიფორნიაში, ქალაქ პაკოიმაში მოხდა, როცა შავკანიანმა ვებსტერ ლუკასმა დელუქს-ბურგერი შეუკვეთა, დაწესებულების მენეჯერმა კი განუცხადა — ერთი ხელსახოციც სავსებით საკმარისიაო. ამას შელაპარაკება მოჰყვა, რომლის დროსაც მექსიკელმა მენეჯერმა წამოაძახა, შენნაირები მუშაობაში ხელს გვიშლიანო. შავკანიანმა კლიენტმა ეს რასიზმის გამოვლინებად ჩათვალა და რესტორნის მმართველთან იჩივლა, რომელმაც საპასუხოდ უფასო ბურგერი შესთავაზა... ეს კი ბოლო წვეთი აღმოჩნდა — ლუკასი სასამართლოს გზით, McDonald's-გან ნახევარი მილიონი დოლარის კომპენსაციას ითხოვს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტექსტის წამკითხველი შექმნეს

როცა ადამიანი დიდ დროს ატარებს ვირტუალურ სამყაროში, ელექტრონულ წიგნებსა და პლანშეტებთან, ცუდი მხედველობა, შესაძლოა, ძირითადი ნაკლი იყოს, თუმცა ახალი ინსტრუმენტი, რომელიც ხმით კითხულობს ნებისმიერ ტექსტს, მომავალში უსინათლო ადამიანებს ზღვა ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას მისცემს. მოწყობილობის პროტოტიპი, რომელსაც FingerReader უწოდეს, აუდიო-ვიდეო პროგრამულ უზრუნველყოფას შეცვლის, რომელიც ხშირად, შესაძლოა, არაზუსტი იყოს და თანაც, ბევრი შეზღუდვა აქვს. მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის სწავლულების მიერ შემუშავებული მოწყობილობის პროტოტიპი ჯერ დასრულებული არ არის, თუმცა FingerReader შეცვლის ბრაილის შრიფტს, რომელსაც სულ უფრო ნაკლებად იყენებენ და უსინათლოებს აუდიო პროგრამებით ასწავლიან. ახალი მოწყობილობა უსინათლოებისა და სუსტი მხედველობის მქონეთათვის, შესაძლოა, თარჯიმნადაც გამოიყენონ, რაც სტუდენტებს ახალი ენის შესწავლაში შეუწყობს ხელს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9								7
					8		6	
8	7				6	4		9
	8	9					1	2
			1		4			
6	1					8	7	
1		4	2				9	8
	3		9					
5								1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	9		4		1	6		3
1		6						
	3	4	8	2				
						8	3	
			1	8	9			
	5	1						
				6	8	2	1	
						3		5
3		9	2		5		8	

ᲠᲗᲣᲚᲘ

	7	6	5					8
2			1			6		9
1				4				5
6			4					
		9		5		1		
					3			4
9				7				6
7		4			8			1
5					4	8	9	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	2		9					3
				6			1	
6					1		7	2
	7	5			6			
				7				
			2			8	6	
2	3		8					6
	9			2				
1					9		8	

ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲗ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲔᲜᲗ

ესტონელმა და ფინელმა მკვლევარებმა იმის განსაზღვრა ისწავლეს, როდის მოკვდება ადამიანი. მომავალში ასეთი ანალიზი, შესაძლოა, ნებისმიერ ლაბორატორიაში ჩატარდეს. ტესტისთვის აუცილებელია სისხლის ნიმუში, რომლის მიხედვითაც დადგინდება სხვადასხვა დაავადების გამო, სიკვდილის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პირები. ტესტის ავტორი მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მათი ნაშრომი დაეხმარება ადამიანებს, ფარულად მიმდინარე დაავადებები გამოავლინონ და დროული მკურნალობით სიცოცხლე გაიხანგრძლივონ. მკვლევარებმა 17 ათასზე მეტი ჯანმრთელი ადამიანის სისხლის ნიმუშის ტესტირება მოახდინეს 100-ზე მეტ ქიმიურ ნივთიერებაზე. ამ მოხალისეებს რამდენიმე წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ, შემდეგ კი შეადარეს ცოცხლებისა და გარდაცვლილების სისხლის ანალიზი, შედეგად აღმოაჩინეს ოთხი ქიმიური სიგნალი ანუ ბიომარკერი, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ნებისმიერი დაავადების გამო სიკვდილის მაღალ რისკზე მიუთითებს. ეს ოთხივე ნაერთი ჩვეულებრივ არსებობს სისხლში, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია რაოდენობაზე. მკვლევართა თქმით, მომავალში ეს მეთოდი შესაძლოა იმ ადამიანების გამოსავლენად გამოიყენონ, ვინც ჯანმრთელად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში სერიოზულად ავადაა და მკურნალობა ესაჭიროება.

კოფეინი და ოქრო კიბოს წინააღმდეგ

კოფეინის ჭარბი მოხმარების გამო მრავალრიცხოვანი გვერდითი ეფექტის შესახებ თითქმის ყველამ იცის — ძილის პრობლემები, გულისცემის გახშირება და აფორიაქება... როგორც აღმოჩნდა, ამ ბუნებრივ სტიმულატორს დადებითი თვისებებიც აქვს. ერთ-ერთი გამოცემის ცნობით, კოფეინის შერწყმა ოქროსთან შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც სიმსივნის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალება. ფრანგი მეცნიერების ჯგუფმა შენიშნა, რომ მრავალრიცხოვანი კვლევების დროს, კოფეინი და მასთან ზოგი ნაერთი სიმსივნური წარმონაქმნების წინააღმდეგ ეფექტური იყო, თუმცა, ამ ნივთიერების დიდი რაოდენობით მიღება ვნებს ჯანმრთელობას. ეს ეხება ყავას, შოკოლადს ენერგეტიკულ და გაზიან სასმელს. ოქრო, კოფეინის მსგავსად, ანადგურებს კიბოს უჯრედებს, მაგრამ, იმავდროულად, ვნებს ჯანმრთელებსაც. მკვლევართა ჯგუფმა გადაწყვიტა, გაეერთიანებინა ეს ორი ნივთიერება გარკვეულ კომბინაციებში. სხვადასხვა კომპონენტის გამოყენებით ჩატარებული კვლევებისას ფრანგმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ განსაზღვრული რაოდენობის ოქროსა და კოფეინისგან მიღებული უჩვეულო ნაერთი კლავს კიბოს უჯრედებს და არ აზიანებს ჯანმრთელებს.

Ა�პᲔᲜᲓᲘᲪᲘᲢᲘᲡ ᲣᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝᲓ ᲣᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲔᲜ

აპენდიციტის შეტევის 65%-ში, შესაძლოა, თავი ავარიდოთ ქირურგიულ ჩარევას და მკურნალობა ანტიბიოტიკებით ჩატარდეს, — განაცხადეს ცოტა ხნის წინ ბრიტანელმა მკვლევარებმა ნოტინჰემის ცენტრიდან. ინგლისელების ფართომასშტაბიანი კვლევები მოიცავდა თეორიულ ნაწილსა (1966-2011 წლების სამედიცინო მონაცემთა ბაზების შესწავლა) და პრაქტიკას (900 პაციენტის გამოკვლევა, რომელთაგან 470 ანტიბიოტიკს იღებდა, 430-ს კი ქირურგიული ჩარევით უმკურნალეს). პირველი ჯგუფის პაციენტების 80%-ში ანტიბიოტიკებით მკურნალობამ ბრმანაწლავის ნორმალიზაციას ხელი შეუწყო, მკურნალობა 12 თვეს გაგრძელდა, რის შემდეგაც სრულად გამოჯანმრთელდა ავადმყოფების 63%, 31%-ში კი გართულებები შემცირდა.

ᲙᲘᲑᲝᲡ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲐ ᲣᲛᲐᲠᲢᲘᲕᲔᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

სიმსივნის გამოვლენა, რომელიც ორგანიზმში უსიმპტომოდ მიმდინარეობს, ადვილი იქნება ახალი გამოგონების წყალობით — მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაახლოებით ისეთივე ტესტი წარმოადგინეს, როგორიც ორსულობისაა და ის კიბოს დიაგნოზს (თუ ასეთი ნამდვილად არის) სულ რამდენიმე წუთში დასვამს. ნიმუშების შეფასებამდე, ადამიანმა, ინექციასთან ერთად, ორგანიზმში ნანონაწილაკები უნდა შეიყვანოს, რომლებიც ურთიერთქმედებენ სიმსივნის ცილა პროტეაზამებთან, ყოველი რეაქციისას კი გამოთავისუფლდება ბიომარკერები. ეს ნანონაწილაკები შესამჩნევი რომ ყოფილიყო ქაღალდზე, ისინი დაიხვეწა ლატერალური ნაკადის ანალიზის ტექნოლოგიით (რომელსაც ორსულობის ტესტებში იყენებენ). სწავლულებმა ტესტ-ჩხირები ანტისხეულებით დაფარეს, რომელიც პეპტიდებს „იჭერს“. იმისდა მიხედვით, როგორი პეპტიდი მოხვდება და რომელ ანტისხეულს დაუკავშირდება, იცვლება ტესტ-ქაღალდის ზოლის ფერები. ექსპერტთა თქმით, ტესტი რამდენიმე სახის პეპტიდის გამოაშკარავებისთვის გამოდგება. ექსპერიმენტისას მან სწორი ნაწლავის კიბოს დიაგნოსტირება მოახდინა, თუმცა, მიუხედავად ტექნოლოგიის სიმარტივისა, პრობლემად რჩება სხეულში ნანონაწილაკების შეყვანა. ამჟამად სპეციალისტები იმპლანტანტის შექმნაზე მუშაობენ, რომელიც ნაწილაკებს პირდაპირ კანქვეშ გამოუშვებს. ეს იდეალური გადაწყვეტილება იქნება დაავადების ხანგრძლივი მონიტორინგისთვის.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ
ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	8	5	7	1	6	4	3	9
1	3	4	2	8	9	7	6	5
9	7	6	5	4	3	2	1	8
8	6	3	4	2	5	1	9	7
7	4	2	8	9	1	3	5	6
5	1	9	6	3	7	8	2	4
4	5	7	3	6	2	9	8	1
6	2	1	9	7	8	5	4	3
3	9	8	1	5	4	6	7	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	3	6	2	4	9	7	8	5
5	4	2	7	1	8	3	9	6
9	8	7	5	6	3	4	2	1
8	2	5	6	3	4	1	7	9
7	6	4	1	9	5	2	3	8
3	9	1	8	2	7	6	5	4
6	1	3	9	8	2	5	4	7
4	7	8	3	5	1	9	6	2
2	5	9	4	7	6	8	1	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	5	7	3	4	6	2	1	9
1	9	6	8	2	7	5	4	3
4	3	2	1	5	9	7	8	6
6	2	3	9	1	8	4	7	5
9	8	5	7	6	4	3	2	1
7	4	1	5	3	2	9	6	8
5	1	4	6	7	3	8	9	2
3	7	9	2	8	1	6	5	4
2	6	8	4	9	5	1	3	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	4	6	5	3	2	1	9	8
3	9	2	1	8	7	6	4	5
8	1	5	6	9	4	3	2	7
2	8	7	9	4	3	5	6	1
6	5	9	8	7	1	2	3	4
4	3	1	2	5	6	7	8	9
5	7	4	3	6	9	8	1	2
1	6	8	4	2	5	9	7	3
9	2	3	7	1	8	4	5	6

მე-12 გვერდი: 1. მეტროლოგია; 2. ფიგარო; 3. მუეძინი; 4. ტაგანროგი; 5. ომარი; 6. ფილატელია; 7. განიმედი; 8. რულონი; 9. ბელგია; 10. ატლანტიდა; 11. კერა; 12. ლანდლი; 13. ალისარჩული; 14. იფრიკია; 15. იანკი; 16. ბროლი; 17. ტამანი; 18. ანტრე; 19 .ფილე; 20. იდიომი; 21. აგა; 22. ლუდი; 23. იატაგანი; 24. დმანისი; 25. გრიცაცუევა; 26. ვალიკო; 27. იქსი; 28. დანი; 29. გორა; 30. ოსკარი; 31. იორდანე; 32. ვიენტიანი; 33. სორდი; 34. იარდი; 35. ტაბურეტი; 36. ორიგამი; 37. კორიფე; 38. ფეიხოა; 39. ტურნე; 40. დოტაცია; 41. ანარა; 42. ნოხი; 43. ბოგდიხანი; 44. ბაასი; 45. ციგა; 46. რვა; 47. ერ; 48. ვალეტი; 49. ბოი; 50. „ჯენოა“; 51. ძლევაი; 52. ატლანტა; 53. „გარნიე“; 54. რუსა; 55. ჰიგია; 56. ხანძარი; 57. აკელა; 58. ვაიო; 59. მახნო; 60. ოჰაიო; 61. ეტლი; 62. ადა; 63. ასი; 64. გრიმო; 65. ანცი; 66. იკაო; 67. ჰავაი; 68. მტლე; 69. ჩხიკვი; 70. ლენა; 71. კურარე; 72. ტუია; 73. უპე; 74. ნანა; 75. ტურა; 76. არე; 77. ეტი; 78. ანელკა; 79. აბორტი; 80. ორურო; 81. იოდი; 82. პეტიცია.



ყველაზე ძვირიანი iPhone

მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი, ოქროთი და ბრილიანტებით შემკული iPhone 16, 7 მილიონი დოლარი ღირს. სმარტფონი iPhone 5 Black Diamond ბრიტანელმა დიზაინერმა სტიუარტ ჰიუზმა, ჰონგკონგელი ბიზნესმენის შეკვეთით შარშან შექმნა, ახლა კი ეს მოდელი სერიულ სტატუსს მიიღებს და ბრიტანელი იუველირის ოფიციალურ საიტზე ყველა მსურველისთვის იქნება ხელმისაწვდომი. სმარტფონის კორპუსი 24-კარატიანი ოქროთია დამზადებული და 600 ბრილიანტითაა შემკული, დამატებით, 53 ძვირფასი ქვა კი „ეპლის“ ლოგოტიპის შექმნას დასჭირდა. ტელეფონის წინა პანელი მთლიანად საფირონის შუშითაა დამზადებული, წინა ღილაკი კი 26-კარატიანმა შავმა ბრილიანტმა ჩაანაცვლა. დიზაინერის განცხადებით, ნაკეთობის დამზადებას თითქმის ცხრა კვირა მოანდომა. პირველ შემკვეთს, რომლის ვინაობაც არ ხმაურდება, სმარტფონი 15,3 მილიონი დოლარი დაუჯდა. ჰიუზის კომპანია მყიდველს ძვირფასი ლითონით შემკული სმარტფონების შედარებით იაფ ვერსიებსაც სთავაზობს, რომელთა ღირებულება ათი ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს.

რესტორანში სადილს ხუთი წელი უნდა ელოდოთ

ამერიკული რესტორანი Damon Baehrel გარეგნულად ერთ ჩვეულებრივ, სოფლის სასადილოს ჰგავს, თუმცა, იქ მოხვედრის მსურველებს რიგში დგომა ხუთ წელიწადს უწევთ. დაწესებულების პოპულარობის საიდუმლო მისი მფლობელის, დეიმონ ბერელის გატაცებაშია — მას თავად მოჰყავს ხილი და ბოსტნეული, ამარილებს ხორცს, აკეთებს სხვადასხვა სახის ყველს, რესტორნის ინტერიერის დიზაინს ამუშავებს და ხის ავეჯსაც კი თავად ქმნის, შეფ-მზარეულიც თვითონ არის — მიუხედავად იმისა, რომ კულინარია არასოდეს უსწავლია, მცირერიცხოვანი სტუმრებისთვის მოლეკულური სამზარეულოს შედევრებს ქმნის. ყოველი სადილი ცივი წახემსებით იწყება — ეს სუმახას ფოთლებისა და იის ღეროების სალათია, რომელიც ყურძენთან ერთადაა გაყინული. რესტორნის მენიუ წლის პერიოდზეა დამოკიდებული და მასში ეგზოტიკური კერძებიც შედის ხოლმე. ამ დაწესებულებაში სადილი 255 დოლარი ჯდება, სასმელის საფასურისა და ოფიციანტისთვის განკუთვნილი ხურდის გარეშე, თუმცა ასეთი ფასის მიუხედავად, რესტორანი კლიენტების ნაკლებობას არ განიცდის. ცნობილია, რომ 2011 წელს აქ მაგიდა შეუკვეთა ბარაკ ობამამ მეუღლესთან ერთად, თუმცა მეტი არაფერია ცნობილი, რადგან რესტორნის მფლობელი სტუმრების ანონიმურობას იცავს.

ელობალურ დათბობას ვულკანი აფერხებს

ვულკანის ამოფრქვევა იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, რისგანაა გამოწვეული გლობალური დათბობის პროცესში თითქმის 15-წლიანი „პაუზა“, — ამბობენ ამერიკელი მეცნიერები ლივერმორის ნაციონალური ლაბორატორიიდან. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ კლიმატის ცვლილების მოდელები, რომელიც XX საუკუნის ბოლოს შეიქმნა, არ ითვალისწინებდა ვულკანების ამოფრქვევის ეფექტს, ამიტომ ახლა იქმნება შთაბეჭდილება, რომ გლობალური დათბობის ტემპი შენელებულია. სწავლულები აღნიშნავენ, რომ ვულკანის ამოფრქვევისას ატმოსფეროში გოგირდის ნაწილაკები გამოიყოფა, რომელიც მზის სინათლეს აირეკლავს და ხელს უშლის სითბოს, დედამიწის ზედაპირამდე მიაღწიოს. აქამდე კლიმატოლოგები არ აღიარებდნენ ვულკანების მიერ წარმოქმნილ გამაგრილებელ ეფექტს. როგორც სწავლულები ამბობენ, 1998 წლიდან დედამიწაზე 17 ძლიერი ვულკანი ამოქმედდა, რომლებმაც 2000-2009 წლებში ატმოსფეროს არეკვლის უნარი წელიწადში, დაახლოებით, 7-ით გაზარდეს. მკვლევარებს მაგალითად მოჰყავთ სიძლიერით მეორე ვულკანის ამოფრქვევა ფილიპინებზე 1991 წელს, რომლის შემდეგაც ორი წლის განმავლობაში დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა, დაახლოებით, 0,5 გრადუსით დაეცა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.